



ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია
დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ბიურო
(ODIHR)

ODIHR-ის სახელმძღვანელო არჩევნებზე დაკვირვებისათვის



ODIHR

პირველი არაოფიციალური თარგმანი
1999 წლის ოქტომბერი
თბილისი



ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია
დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანთა უფლებების ოფისი
(ODIHR)

ODIHR-ის სახელმძღვანელო არჩევნებზე დაკვირვებისათვის

პირველი ქართული გამოცემა
არაოფიციალური თარგმანი
ოქტომბერი 1999
თბილისი

ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ

ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (OSCE) [თავდაპირველად ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კონფერენცია (CSCE)], სამოცდაათიანი წლების დასაწყისში შეიქმნა, როგორც აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის დიალოგისა და მოლაპარაკების ფორუმი. 1994 წელს ბუდაპეშტის შეხვედრაზე მას ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია ეწოდა. დღეს ეუთო აერთიანებს 54 სახელმწიფოს ვლადივასტოკიდან ვანუვერამდე, ამერიკის შეერთებული შტატების, კანადის, ევროპის ყველა სახელმწიფოსა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების ჩათვლით. წევრ სახელმწიფოებს აქვთ თანაბარი სტატუსი და წარმოდგენილი არიან ზოგადი ინტერესებისა და ეუთოს ზოგადი დებულებების შესაბამისად.

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანთა უფლებების ბიურო (ODIHR) მდებარეობს ვარშავაში. მისი მიზანია, ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დამკვიდრება ეუთოს რეგიონში. ბიურო ხელს უწყობს დემოკრატიის განვითარებას, აკვირდება არჩევნებს ეუთოს რეგიონში, აწარმოებს ადამიანთა უფლებების დაცვის მონიტორინგს, აწყობს საერთაშორისო სემინარებს ვარშავაში, ან ეუთო-ს რეგიონის სხვა ადგილებში, ეუთოს “ადამიანურ განზომილებასთან” დაკავშირებულ საკითხებზე.

ODIHR-ის არჩევნების განყოფილება არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებზე პასუხისმგებელი ცენტრის ფუნქციას ასრულებს. იგი აწარმოებს კოპენჰაგენის 1990 წლის კონფერენციაზე მიღებული დებულებების დაცვის მონიტორინგს, წარმოადგენს ეუთოს სადამკვირვებლო მისიათა საკოორდინაციო ცენტრს და ავრცელებს ინფორმაციას მოწვევათა შესახებ ეუთოს წევრ სახელმწიფოებს შორის. ამასთან, ODIHR—ი დახმარებას უწევს წევრ სახელმწიფოებს საარჩევნო კანონმდებლობის ექსპერტიზასა და სადამკვირვებლო მისიათა მიერ შემუშავებული რეკომენდაციების განხორციელებაში, აწყობს საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებულ სემინარებს ეუთო-ს რეგიონის ახალი დემოკრატიის ქვეყნებში.

ODIHR—ის საარჩევნო განყოფილების წევრები:

განყოფილების უფროსი: ჯერალდ მიჩელი

მრჩეველები: ნიკოლაი ვალჩანოვ, ვადიმ ჟდანოვიჩი,
ანდერს კარლსენ, ელზა ფენე

თანაშემწეები: ჰანნა სობიერაი, ემანუელ ჟოფრე

მდივანი: ინნა ბარანოვა

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანთა უფლებების ბიურო

Al. Ujazdowskie 19

00-557 Warsaw / Poland

Phone: (+4822) 520 06 00

Fax: (+4822) 520 06 05

Telex: 815045 ODIWA PL

ელ. ფოსტა: office@odih.osce.waw.pl

ინტერნეტი: <http://www.osceprag.cy/inst/odih/odih.htm>

მომზადებულია ODIHR-ის მიერ

- სარჩევი -

1. წინათქმა.....	5
ODIHR-ის მანდატი არჩევნებზე გრძელვადიანი დაკვირვებისათვის	5
ODIHR-ისა და სხვა საერთაშორისო უწყებების თანამშრომლობა	6
2. საყოველთაო პრინციპები.....	7
3. ეუთო-ს დებულებები.....	7
4. ODIHR-ის პირობები საარჩევნო პროცესზე ეფექტური დაკვირვებისათვის	9
5. დამკვირვებლის სამოქმედო კოდექსი	10
6. საჭიროებათა შეფასების მისია.....	10
7. ეუთო-ს სპეციალური კოორდინატორი	11
8. ODIHR-ის სადამკვირვებლო მისიის თავმჯდომარე	11
8.1 ODIHR-ის სადამკვირვებლო მისიის თავმჯდომარის მოადგილე	12
8.2 ადმინისტრაციულ საკითხებსა და დამკვირვებელთა დისლოკაციაზე პასუხისმგებელი თანამშრომელი	13
8.3 სადამკვირვებლო მისიის სხვა წევრები	13
9. წინასაარჩევნო პერიოდი: გრძელვადიანი დამკვირვებელი.....	14
9.1 საარჩევნო ადმინისტრაცია	16
ა. სახელმწიფო საარჩევნო ადმინისტრაცია: შემადგენლობა, ადამიანური რესურსები და მათი მომზადება, მატერიალური რესურსები	16
ბ. ამომრჩეველთა და სამოქალაქო განათლება	18
გ. ამომრჩეველთა იდენტიფიკაცია და რეგისტრაცია	18
დ. კანდიდატთა და პოლიტიკურ პარტიათა რეგისტრაცია	20
ე. საარჩევნო ოლქების საზღვრები	21
ვ. ბიულეტენის დიზაინი და უსაფრთხოება	21
ზ. კენჭისყრის განსაკუთრებულ შემთხვევებთან დაკავშირებული პირობები.....	21
თ. ხმების დათვლის, შედეგების შეჯამებისა და გადამოწმების პროცესი	22
ი. გასაჩივრებისა და სარჩელების განხილვის პროცესი	23
9.2 საარჩევნო კამპანია.....	24
ა. პოლიტიკური კამპანია.....	24
ბ. კამპანიის წარმოებისათვის საჭირო რესურსები	24
გ. მასმედია	25
დ. უშიშროების ძალთა მოქმედების წესები	26
10. არჩევნების ფაზა: გრძელვადიანი და მოკლევადიანი დამკვირვებლები.....	26

10.1 წინასაარჩევნო კამპანიის დასკვნითი დღეები.....	26
ა. ბრიფინგი.....	27
ბ. საკონტროლო ფორმები.....	27
გ. საარჩევნო კამპანიაზე დაკვირვება.....	28
10.2 არჩევნების დღე	28
ა. დამკვირვებელთა დისლოკაცია	28
ბ. მოქმედება საარჩევნო უბნის დონეზე	29
გ. გამოკითხვა საარჩევნო უბანზე.....	30
დ. დაკვირვება საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე.....	31
ე. კენჭისყრა შეიარაღებულ ძალებში.....	33
ვ. კენჭისყრა საავადმყოფოებსა და თავისუფლების აღკვეთის ადგილებში.....	33
10.3 ხმების დათვლის პროცესი	33
ა. ხმების დათვლის პროცესზე დაკვირვება	33
ბ. ხმების დათვლა სხვადასხვა დონეზე.....	35
11. უშულოდ არჩევნების შემდგომ ფაზაზე დაკვირვება: გრძელვადიანი და მოკლევადიანი დამკვირვებლები	35
11.1 დაკვირვების შედეგების შესახებ ინფორმაციის გაცვლა (დიბრიფინგი) და განცხადება.....	35
11.2 არჩევნების შემდგომი წინასწარი განცხადება	36
12. არჩევნების შემდგომი გახანგრძლივებული ფაზა: გრძელვადიანი დამკვირვებლები.....	37
12.1 საბოლოო გადამოწმება და შედეგების გამოცხადება	37
12.2 გასაჩივრებისა და გადასინჯვის პროცესი.....	37
12.3 მისიის დახურვა	38
12.3.1 გახანგრძლივებული დაკვირვება.....	38
12.4 დასკვნითი ანგარიში.....	38
12.5 ODIHR-ის მისიის არქივი	39
13. ზოგადი შეფასება.....	40
14. ODIHR-ის დახმარება რეკომენდაციების განხორციელების საქმეში	41
14. დანართები.....	42
დანართი ა: ეუთო-ს ადამიანური განზომილებების შესახებ კონვენციის კოპენჰაგენის შეხვედრის დოკუმენტი (29 ივნისი 1990 წელი).....	42
დანართი ბ: ეუთო-ს/ODIHR-ის საარჩევნო პროცესზე დამკვირვებლის საკონტროლო ფორმის ნიმუში	46

1. წინათქმა

უკანასკნელ წლებში დემოკრატიული ძვრებისა და ადამიანთა საყოველთაო უფლებების მხარდაჭერის პროცესის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად იქცა არჩევნებსა და რეფერენდუმებზე დაკვირვება. არჩევნებზე დაკვირვების სრულყოფა უშუალოდ უკავშირდება დემოკრატიზაციის საყოველთაო პროცესს.

დემოკრატიული საზოგადოების საფუძველს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად წარმართული ღია და საჯარო საარჩევნო პროცესი წარმოადგენს. პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის უფლება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მიმდინარე, კონკრეტული არჩევნებისას, არამედ ის უკავშირდება ადამიანთა ფუნდამენტალურ უფლებებსაც: სიტყვის, გადაადგილების, მშვიდობიანი თავშეყრისა და ასოციაციების შექმნის თავისუფლებას.

ამგვარად, არჩევნებზე დაკვირვება მხოლოდ ტექნიკური პროცედურა არ არის - იგი ხაზს უსვამს და იცავს ადამიანთა ძირითად უფლებებს. არჩევნები ადამიანთა ფუნდამენტალური უფლებების ზეობაა. არჩევნებზე დამკვირვებელთა უშუალო დასწრებასა და საარჩევნო პროცესის კონტროლს შეუძლია აგვარიდოს არჩევნებთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა დარღვევები.

სადამკვირვებლო მისიათა მივლინების პრაქტიკა ფართოდ გავრცელდა ეუთო-ს რეგიონში, რამაც განაპირობა ODIHR-ის მეთოდოლოგიის დახვეწის საჭიროება. მოცემული სახელმძღვანელო სწორედ ამ საკითხს შეეხება. იგი მიმოიხილავს არჩევნებზე დაკვირვების სფეროში ODIHR-ის მიერ შემუშავებულ ზოგად მეთოდოლოგიას და მოიცავს სადამკვირვებლო მისიის განხორციელებისათვის საჭირო პრაქტიკულ რჩევებს.

ODIHR-ის მანდატი არჩევნებზე გრძელვადიანი დაკვირვებისათვის

1994 წლის დეკემბერში ბუდაპეშტში ჩატარებულ სამიტზე ODIHR-ის მანდატმა უფრო ფართო მნიშვნელობა შეიძინა - იგი მიზნად ისახავს საარჩევნო პროცესზე გრძელვადიანი დაკვირვების უზრუნველყოფას. არჩევნებზე დაკვირვება ერთი დღის საქმე არ არის. მხოლოდ არჩევნების დღეს წარმოებულ დაკვირვების შედეგები არაა საკმარისი საარჩევნო პროცესის არგუმენტირებული შეფასებისათვის. ODIHR-ის ახალი მანდატი ამ მოსაზრების მზარდი აღიარების შედეგია. ODIHR-ის საქმიანობა გრძელვადიანი დაკვირვების განხორციელებას გულისხმობს და აღარ შემოიფარგლება არჩევნების დღით და მის ირგვლივ ორიენტირებული მოკლევადიანი დაკვირვებით.

ახალი მიდგომის თანახმად, არჩევნების პროცესის შესაფასებლად დამკვირვებელი ქვეყანაში საარჩევნო პროცესის სხვადასხვა პერიოდში უნდა იმყოფებოდეს, რათა თვალის მიადევნოს სრულ საარჩევნო ციკლს, რომელიც მედიის საშუალებებით საარჩევნო კამპანიის გაშუქებით იწყება, მოიცავს ამომრჩეველთა და კანდიდატთა რეგისტრაციის პროცესს, ხმის მიცემის, შედეგების შეჯამებისა და გამოცხადების საფეხურებს და მთავრდება არჩეულ კანდიდატთა მიერ თანამდებობის დაკავებით.

ODIHR-ის სადამკვირვებლო მისიის სავსე ამოცანები ოთხ ფაზად ნაწილდება: წინასაარჩევნო ფაზა, არჩევნების დღე, უშუალოდ არჩევნების შემდგომი ფაზა, არჩევნების შემდგომი გახანგრძლივებული ფაზა. გრძელვადიანი დამკვირვებელი არჩევნების ყველა ფაზას აკვირდება, ხოლო მოკლევადიანი დამკვირვებელი — მხოლოდ არჩევნების დღესა და უშუალოდ არჩევნების შემდგომ ფაზას.

შესაბამისად, გრძელვადიანი დამკვირვების მიზანი სრული საარჩევნო ციკლის ყველა ფაზის ერთიანობაში მოაზრებაა, მოკლევადიანი დამკვირვების კლასიკური ამოცანები კი დამკვირვებელთა მრავალრიცხოვანი მისიის მიერ საარჩევნო კამპანიის ბოლო დღეების, არჩევნების დღისა და ხმათა დათვლის პროცესის მონიტორინგით შემოიფარგლება.

მოცემული სახელმძღვანელო სწორედ ამ განსხვავებას ასახავს — გრძელვადიან და მოკლევადიან დამკვირვებელთა როლები ორ სხვადასხვა თავშია განხილული.

ამგვარად, სახელმძღვანელოს სტრუქტურა დამკვირვებელთა ორ განსხვავებულ, მაგრამ ურთიერთშემავსებელ კატეგორიათა ფუნქციებს გამიჯნავს, რაც საარჩევნო პროცესის განმავლობაში დამკვირვებელთა ამოცანების სწორად დაგეგმვისა და, ამავე დროს, საარჩევნო პროცესის მთლიანობაში მოაზრების საშუალებას იძლევა.

ODIHR-ისა და სხვა საერთაშორისო უწყებების თანამშრომლობა

ეუთო-ს რეგიონში არჩევნებზე დამკვირვების ტრადიციის დამკვიდრების პარალელურად გამოჩნდა, რომ არჩევნების მონიტორინგში მონაწილე სხვადასხვა ორგანიზაციები უნდა ესწრაფოდნენ ჩატარებული არჩევნებისათვის კონკრეტული შეფასების მიცემას. ამავე დროს, ცხადია, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები უკეთეს შედეგს მიაღწევენ თუ ითანამშრომლებენ მონიტორინგის განხორციელების შემდეგ რეკომენდაციების შემუშავების პროცესში. ბუდაპეშტის სამიტზე შემუშავებული დეკლარაცია ხაზს უსვამს ODIHR-სა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის შემდგომი გაზრდის აუცილებლობას.

1997 წლის სექტემბერში ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეასა და ODIHR-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს ODIHR-ისა და ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის თანამშრომლობის პირობების შემდეგ ასპექტებს:

საჭიროებათა შეფასების მისიის შექმნა ზოგადი ინფორმაციის შესაკრებად დამკვირვებელთა განაწილებამდე;

- ♦ ინფორმაციის გაცვლა სადამკვირვებლო მისიათა მოღვაწეობის პროცესში;
- ♦ ბრიფინგის მასალათა და ბრიფინგების/დებრიფინგების ორგანიზაციის კოორდინაცია;
- ♦ ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის მიერ მივლენილ მოკლევადიან დამკვირვებელთა მხარდაჭერა სხვადასხვა საორგანიზაციო საკითხებში;
- ♦ დამკვირვებელთა დისლოკაციის გეგმათა შეთანხმება დუბლირების თავიდან ასაცილებლად;
- ♦ ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის რეკომენდაციის საფუძველზე, ეუთო-ს მოქმედი თავმჯდომარის მიერ სპეციალური კოორდინატორის დანიშვნა,

ODIHR-ის სადამკვირვებლო მისიის თავმჯდომარესთან მჭიდრო თანამშრომლობის მიზნით;

- ♦ ეუთო-ს სპეციალური კოორდინატორისა და ODIHR-ის სადამკვირვებლო მისიის თავმჯდომარის ერთობლივი წინასწარი განცხადება არჩევნების შემდგომ;
- ♦ საბოლოო ანგარიში, რომელიც შეიცავს ერთობლივად შემუშვებულ რეკომენდაციებს და ამ რეკომენდაციათა განხორციელების ერთიან სტრატეგიას.

2. საყოველთაო პრინციპები

ყოველ ადამიანს აქვს უფლება, ჰყავდეს დემოკრატიული მთავრობა. გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1948 წელს მიღებული საყოველთაო დეკლარაცია აღიარებს ღია და საჯარო საარჩევნო პროცესის როლს ამ ფუნდამენტალური და საყოველთაო უფლების უზრუნველყოფაში.

ყველა დამკვირვებელს, ნაციონალურ-პოლიტიკური და საარჩევნო სისტემის მიუხედავად, აერთიანებს ადამიანთა უფლებების საყოველთაო დეკლარაცია.

ადამიანთა უფლებების საყოველთაო დეკლარაცია, თავი 21:

1. ყოველ ადამიანს აქვს საკუთარი ქვეყნის მართვაში მონაწილეობის უფლება - უშუალოდ ან თავისუფალი წესით არჩეული წარმომადგენლების მეშვეობით.
2. ყველა ადამიანს აქვს სამოქალაქო სამსახურით სარგებლობის უფლება
3. მთავრობის ძალაუფლების საფუძველს ქმნის ხალხის ნება. ეს ნება უნდა გამოიხატებოდეს პერიოდული და არაფალსიფიცირებული არჩევნებით საყოველთაო და თანასწორუფლებიანი საარჩევნო კანონის შესაბამისად - თავისუფალი კენჭისყრით, რომელიც უზრუნველყოფილია ფარული კენჭისყრით ან სხვა, მისი ტოლფასი ფორმებით.

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი და ადამიანთა უფლებების დაცვის ევროპის კონვენცია აღნიშნავს აგრეთვე, პერიოდული, თავისუფალი და საყოველთაო არჩევნების როლს პოლიტიკურ უფლებათა აღიარების საქმეში.

3. ეუთო-ს დავულება

ეუთო-ს მიერ 1990 წელს მიღებული დებულებები (კონფერენცია “ადამიანური განზომილება”, კოპენჰაგენი, მეორე სხდომა) აგრეთვე ხაზგასმით მიგვანიშნებს არჩევნების ცენტრალურ როლზე მოქალაქის იმ უფლებათა უზრუნველყოფის პროცესში, რომლებიც ქვეყნის მართვაში მონაწილეობასა და ნების გამოხატვის თავისუფლებას შეეხება. ყველა დამკვირვებელი ვალდებულია, იცნობდეს არჩევნების პროცესზე დამკვირვებლთან დავაუმირებით ეუთო-ს მიერ მიღებულ ვალდებულებათა ნუსხას. (იხ. დანართი 1)

გარდა ამისა, კოპენჰაგენის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ დამკვირვებელთა დასწრება (იგულისხმება როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი დამკვირვებლებ-

ბი) ხელს უწყობს საარჩევნო პროცესის სამართლიანად წარმართვას. სადამკვირვებლო მისიათა მოღვაწეობამ ფასდაუდებელი მნიშვნელობა შეიძინა ეუთო-ს წევრ ქვეყნებში დემოკრატიული მმართველობის დამკვიდრებისა და გაძლიერების საქმეში.

ეუთო-ს წევრ ქვეყანას შეუძლია ეუთო-ს დამკვირვებლების მოწვევა ეუთო-ს წევრი სხვა ნებისმიერი ქვეყნიდან, მაგრამ დამკვირვებელთა მიერ საარჩევნო პროცესის შეფასება ეუთო-ს მიერ შემუშავებული ზოგადი და ყველასათვის საერთო დებულებების მიხედვით მიმდინარეობს.

ეუთო-ს დებულებანი უნდა აისახებოდეს საკანონმდებლო სისტემაში (კონსტიტუციასა და საარჩევნო კანონმდებლობაში, კერძოდ კი საარჩევნო კანონში, ასევე პოლიტიკური პარტიების შესახებ კანონში, მასმედიის კანონსა და სისხლის სამართლის კოდექსში). ODIHR-ი თავს იკავებს არჩევნებზე დაკვირვებისაგან იმ შემთხვევაში, თუ ქვეყნის კანონმდებლობაში არ არის აისახული ეუთო-ს დებულებები.

არჩევნების სამართლებრივი ბაზის მომზადება უნდა მოხდეს საჯაროდ, ყველა დაინტერესებული პირის ჩართვით, რათა ინვესტირდეს პოლიტიკური პარტიებისა და კანდიდატების ნდობას. უშუალოდ არჩევნების წინ საკანონმდებლო სისტემაში მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანის ტენდენცია, ხშირად ქმნის არასტაბილურსა და ბუნდოვან ატმოსფეროს არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ პარტიებში.

ეუთო-ს მიერ შემუშავებულ დებულებათა არსი შვიდი საკვანძო სიტყვით შეიძლება გადმოიცივს: **საჭრველთაო, თანასწორი, სამართლიანი, ფარული, თავისუფალი, ღია და ანგარიშვალდებულებული.**

საჭრველთაობის პრინციპი გულისხმობს რეგისტრაციის ეფექტური, მიუკერძოებელი და დისკრიმინაციისაგან თავისუფალი პროცედურის უზრუნველყოფას როგორც ამომრჩეველთათვის, ისე კანდიდატებისათვის. ხმის უფლება უნდა ჰქონდეს შესაბამისი ასაკის მქონე ყველა მოქალაქეს, რომელიც აკმაყოფილებს რეგისტრაციის პირობებს.

თანასწორობის პრინციპი მოითხოვს, რომ ყველა ხმას ჰქონდეს თანაბარი ძალა და ერთიანობაში ქმნიდეს თანასწორ წარმომადგენლობას. თანასწორობის პრინციპი კერძოდ გულისხმობს, რომ მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის შემთხვევაში სხვადასხვა საარჩევნო ოლქებში ამომრჩეველთა რაოდენობას შორის განსხვავება არ უნდა აღემატებოდეს ათ პროცენტს. თუ არჩევნები მიმდინარეობს პროპორციული სისტემის თანახმად, დასაშვებია საარჩევნო უბნების ამომრჩეველთა რაოდენობას შორის სხვაობა, თუმცა თითოეული ოლქის წარმომადგენელთა რაოდენობა ამომრჩეველთა რაოდენობის პროპორციული უნდა იყოს. საარჩევნო უბნები მისაწვდომი უნდა იყოს ნებისმიერი ამომრჩევლისათვის.

სამართლიანობის პრინციპმა, იდეალურ შემთხვევაში უნდა უზრუნველყოს თანაბარი პირობები არჩევნების ყველა მონაწილისათვის, როგორც მინიმუმ კი უნდა შესძლოს, რომ ამომრჩევლებისათვის მისაწვდომი გახადოს ინფორმაცია ყველა კანდიდატისა და პარტიის, ასევე მათი პროგრამების შესახებ.

ფარულობის პრინციპის დაცვა უზრუნველყოფილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამომრჩეველი სხვისი თანდასწრების გარეშე, დახურულ საარჩევნო კაბინაში ანარმოებს კენჭისყრას და ამასთანავე, გამორიცხულია შეესებულებული ბიულე-

ტენის სხვა პირის მიერ დანახვის შესაძლებლობა.

თავისუფლების პრინციპმა უნდა უზრუნველყოს, მოქალაქეთა მიერ არჩევანის გავტება ზენოლისა და დაშინების გარეშე და ამასთანავე რწმენა იმისა, რომ ნების გამოსხატვის თავისუფლება, მშვიდობიანი თავშეყრისა და ასოციაციის უფლება დაცულია მთელი საარჩევნო პროცესის განმავლობაში.

ლიაოვის პრინციპი ითვალისწინებს არჩევნების ჩატარებას იმ კანონთა შესაბამისად, რომლებიც ეფუძნება საყოველთაობისა და საჯაროობის პრინციპებს. ღია საარჩევნო პროცესი ამცირებს ფალსიფიკაციის ალბათობას არჩევნების მიმდინარეობისას; ამგვარად, ხმათა დათვლის პროცესი უნდა იყოს ღია და ექვემდებარებოდეს გადამოწმებას, როგორც საარჩევნო უბნის, ისე საარჩევნო კომისიის შუალედურ და უშუალოდ დონეებზე.

ანგარიშვალდებულების პრინციპი მოითხოვს, რომ თანამდებობის დავალებისას არჩეულმა პირმა იგრძნოს ანგარიშვალდებულება საკუთარი ამომრჩევლის წინაშე.

4. ODIHR-ის პირობები საარჩევნო პროცესზე ეფექტური

დაკვირვებისათვის

გრძელადიანი დაკვირვების შესახებ ODIHR-ის მანდატის თანახმად, ეუთო-ს წევრმა სახელმწიფოებმა დამკვირვებელთა მონვევის სურვილის შესახებ ODIHR-ს არჩევნების დაწყებამდე სამი თვით ადრე უნდა აუწყონ. წინასწარი შეტყობინების არარსებობის შემთხვევაში ODIHR-მა შესაძლოა უარი თქვას მონვევაზე.

ODIHR-ი არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ დამკვირვებელთა დასწრების ფაქტი საკმარისია არჩევნების ლეგიტიმურად აღიარებისათვის. არჩევნების შესახებ აზრი იქმნება დაკვირვების მეთოდოლოგიასა და შემდგომ დასკვნებზე დაფუძნებით. არჩევნებზე დაკვირვებისა და შეფასებისათვის ODIHR-ი, საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, ითხოვს გარანტიას მასპინძელი სახელმწიფოსაგან, რომ შესძლებს დაუბრკოლებლად შესასრულოს საკუთარი მოვალეობა. სახელდობრ:

- მასპინძელი სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლად განსაზღვროს დამკვირვებელთა საჭირო რაოდენობა;
- მიიღოს აკრედიტაცია უბრალო, დისკრიმინაციისაგან თავისუფალი პროცედურის გავლის საშუალებით;
- მოიპოვოს საარჩევნო პროცესის შესახებ ინფორმაცია ყველა დონის საარჩევნო ადმინისტრაციისაგან;
- შეხვდეს ყველა პარტიის წარმომადგენელსა და შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე შერჩეულ ამომრჩევლებს;
- ქონდეს ქვეყნის ყველა რეგიონში გადაადგილების შესაძლებლობა საარჩევნო პროცესის მიმდინარეობისას და უშუალოდ კენჭისყრის დღეს;
- ქონდეს დაუბრკოლებლად შეღწევის უფლება ნებისმიერ საარჩევნო პუნ-

ქტსა თუ ხმის დამთვლელ ცენტრში მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე;

- ♦ ქონდეს საჯარო განცხადებების გაცემების უფლება.

5. დამკვირვებლის სამომხმელო კოდექსი

ქვემოთ ჩამოთვლილია რამდენიმე ზოგადი პრინციპი და წესი, რომელთა დაცვა სავალდებულოა ყველა დამკვირვებლისათვის:

- ♦ საკუთარი ვალდებულებების შესრულებისას დამკვირვებელმა მკაცრად უნდა დაიცვას მიუკერძოებლობის პრინციპი, არავითარ შემთხვევაში არ გამოხატოს მიკერძოება ან წინასწარგანწყობა მთავრობის, პარტიების, კანდიდატებისა თუ საარჩევნო პროცესთან დაკავშირებული რომელიმე საკითხის მიმართ;
- ♦ მისიის შესრულებისას დამკვირვებელი რჩება გარეშე პირად და არ აქვს საარჩევნო პროცესში, ხმის მიცემისა და დათვლის პროცედურაში ჩარევის უფლება;
- ♦ დამკვირვებელმა უნდა იქონიოს მთავრობის ან საარჩევნო კომისიის მიერ გაცემული მონშობა, რომელიც მოთხოვნის შემთხვევაში უნდა წარუდგინოს ყველა დაინტერესებულ ოფიციალურ პირს;
- ♦ დამკვირვებელს ეკრძალება რომელიმე პარტიის სიმბოლიკის, ფერების და ნიშნის ტარება ან ჩვენება;
- ♦ დამკვირვებელს შეუძლია მიუთითოს ადგილობრივ ხელისუფლებას ცალკეულ დარღვევებზე, მაგრამ არ უნდა გასცეს ინსტრუქციები და არ უნდა მიიღოს საარჩევნო ხელისუფლების გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ მიმართული ზომები;
- ♦ დამკვირვებელთა ყველა დასკვნა უნდა ეფუძნებოდეს დასაბუთებულ, გადამონშებულ და სარწმუნო ფაქტებს.
- ♦ მედიის წარმომადგენლებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან საუბრისას დამკვირვებლებმა თავი უნდა შეიკავონ პირადი ან ნაადრევი კომენტარებისაგან. ნებისმიერი შენიშვნა უნდა შემოიფარგლოს ზოგადი ინფორმაციით დამკვირვებელთა მისიის საქმიანობის შესახებ;
- ♦ საჭიროების შემთხვევაში დამკვირვებელი მონაწილეობას იღებს არჩევნების შემდგომ დიბრიფინგებში ფაქსით ან ტელეფონით;
- ♦ დამკვირვებელმა უნდა დაიცვას სახელმწიფოს ყველა კანონი და წესი.

6. საჭიროებათა შეფასების მისია

ჩვეულებისამებრ, გრძელვადიანი დამკვირვებისათვის პირობების მომზადების მიზნით, არჩევნების დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე, ODIHR-ი მასპინძელ ქვეყანაში მიაველნს საჭიროებათა შეფასების მისიას. საჭიროებათა შეფასების მისიას ამზადებს და ხელმძღვანელობს ODIHR-ის მრჩეველი არჩევნების საკითხში, ODIHR-ის მიერ დანიშნული სადამკვირვებლო მისიის თავმჯდომარის, მისი მოადგილისა და დამკვირვების ადმინისტრაციულ საკითხებზე პასუხისმგებელი პი-

რის მონაწილეობით, თუ ამ დროისათვის ეს პირები უკვე დანიშნულია ODIHR-ის მიერ. გარდა ამისა, ამგვარი მისიის შემადგენლობაში შეიძლება შედიოდეს ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის წარმომადგენელიც.

საჭიროებათა შეფასების მისიის უპირველესი მიზანია, შეამოწმოს რამდენად შესაბამეა არჩევნების ჩატარების სამართლებრივი საფუძვლები ეუთო-ს დებულებებს. მხედველობაში უნდა იყოს მიღებული: წინა წლებში ODIHR-ის მიერ ამავე ქვეყანაში განხორციელებული სადამკვირვებლო მისიის მოღვაწეობის შედეგები, ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის ანგარიშები მოცემულ ქვეყანასთან მიმართებაში და ის წარმატებები, რომლებიც მიღწეულ იქნა რეკომენდაციების გათვალისწინების შედეგად.

ეს მისია აფასებს სადამკვირვებლო მისიის საჭიროებებსა და დაკვირვების ხანგრძლიობას, აწარმოებს წინასაარჩევნო დიალოგს არჩევნების ორგანიზატორ და არჩევნებში მონაწილე სხვა ინსტიტუტებთან.

7. ეუთო-ს სპეციალური კოორდინატორი

ეუთო-ს სადამკვირვებლო მისიის მოკლევადიანი საქმიანობის ხელმძღვანელობისათვის ეუთო-ს მოქმედ თავმჯდომარეს შეუძლია სპეციალურ კოორდინატორად დანიშნოს რომელიმე პოლიტიკური ფიგურა. ეს პოლიტიკური ფიგურა ჩვეულებრივ არის ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარე ან ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის უფროსი თანამშრომელი, რომელსაც ეუთო-ს მოქმედ თავმჯდომარესთან კონსულტაციის საფუძველზე რეკომენდაციას უწევს ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეა.

სპეციალური კოორდინატორი მჭიდროდ თანამშრომლობს ODIHR-ის სადამკვირვებლო მისიის თავმჯდომარესთან და მასთან ერთად აკეთებს არჩევნების შემდგომ წინასწარ განცხადებას პრეს-კონფერენციაზე, რომელიც უშუალოდ არჩევნების შემდეგ ტარდება.

8. ODIHR-ის სადამკვირვებლო მისიის თავმჯდომარე

ODIHR-ის სადამკვირვებლო მისიის თავმჯდომარე წარმოადგენს ODIHR-ს მასპინძელ ქვეყანაში და უზრუნველყოფს გრძელვადიანი და მოკლევადიანი დამკვირვებლების საქმიანობას. სადამკვირვებლო მისიის მოღვაწეობის მთელი პერიოდის განმავლობაში, ODIHR-ის სადამკვირვებლო მისიის თავმჯდომარე მუდმივად ამოწმებს მასპინძელი სახელმწიფოს მთავრობის მიერ ეფექტური დაკვირვებისათვის საჭირო პირობების უზრუნველყოფას. გარდა ამისა, ODIHR-ის სადამკვირვებლო მისიის თავმჯდომარე პასუხისმგებელია ODIHR-ის მისიის დამკვირვებელთა მიერ დამკვირვებელთა კოდექსის შესრულების უზრუნველყოფაზე.

ODIHR-ის სადამკვირვებლო მისიის თავმჯდომარე მჭიდროდ თანამშრომლობს ეუთო-ს სპეციალურ კოორდინატორთან მოკლევადიანი დაკვირვების განხორციელების პროცესში და წინასწარი განცხადების წარდგენისას.

ODIHR-ის სადამკვირვებლო მისიის თავმჯდომარის მოვალეობების შესრულება ექვემდებარება ODIHR-ის საარჩევნო განყოფილების (ვარშავა) პირდაპირ კონტროლს. მისიის თავმჯდომარე მისიის განხორციელების წინ და მისი დასრუ-

ლების შემდეგ ეწვევა ვარშავას ბრიფინგსა და დიბრიფინგში მონაწილეობის მისაღებად. დაკვირვების მსვლელობისას ის მუდმივ კავშირში იმყოფება ODIHR-ის ვარშავის ოფისთან და ODIHR-ის საარჩევნო განყოფილების სახელზე ყოველკვირეულ ანგარიშს წარადგენს ყველა საკითხთან დაკავშირებით, ODIHR-ის წინაწლების რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის შეფასების ჩათვლით.

ODIHR-ის სადამკვირვებლო მისიის თავმჯდომარე კონსულტაციებს იღებს ეუთო-ს მონაწილე-სახელმწიფოების საელჩოებისა და ეუთო-ს გრძელვადიანი მისიის წარმომადგენლებისაგან, თუ ამგვარი ადგილობრივი მისია არსებობს მასპინძელ ქვეყანაში.

ODIHR-ის მთავარ პარტნიორს მასპინძელ ქვეყანაში წარმოადგენს ცენტრალური საარჩევნო კომისია ან არჩევნების ადმინისტრაციაზე პასუხისმგებელი სხვა უწყება (შემდგომში სახელმწიფო საარჩევნო ადმინისტრაცია). ODIHR-ის სადამკვირვებლო მისიის თავმჯდომარემ კავშირი უნდა დაამყაროს შესაბამის საარჩევნო უწყებებთან და დაარსოს დროებითი ბიურო დედაქალაქში.

ODIHR-ის სადამკვირვებლო მისიის თავმჯდომარე სახელმწიფო დონეზე ამყარებს მჭიდრო კავშირს შესაბამის სამინისტროებთან, პოლიტიკურ პარტიებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან (ნებისმიერი ადამიანთა უფლებების დაცვის საკითხზე მომუშავე ადგილობრივი ჯგუფების და ადგილობრივი დამკვირვებლების ჩათვლით), სხვა საზოგადოებრივ ასოციაციებთან, მედიასა და ეროვნულ უმცირესობებთან. მოძიებული ინფორმაციის დოკუმენტირება უნდა მოხდეს წყაროს თანხმობის საფუძველზე და შემდგომში შესაძლოა ჩართულ იქნას დასკვნით ანგარიშში.

მასპინძელ ქვეყანაში ჩამოსვლისთანავე, ODIHR-ის სადამკვირვებლო მისიის თავმჯდომარე აკეთებს მოკლე განცხადებას პრესაში, რომელიც მოიცავს ODIHR-ის გრძელვადიანი დაკვირვების მანდატის აღწერასა და საკონტაქტო ინფორმაციას. მისიის თავმჯდომარე ხაზს უსვამს სადამკვირვებლო მისიის მიუკერძოებლობასა და საარჩევნო პროცესსა და ამ პროცესთან დაკავშირებული უფლებების დაცვის საკითხებზე ნებისმიერი კომენტარების მხედველობაში მიღებისადმი მზადყოფნას.

ODIHR-ის სადამკვირვებლო მისიის თავმჯდომარე ხელს უწყობს საერთაშორისო დამკვირვებელთა საქმიანობას:

- ♦ აწყობს ფართო ბრიფინგს გრძელვადიანი და მოკლევადიანი დამკვირვებლებისათვის საარჩევნო პროცედურისა და წესების, აგრეთვე განსაკუთრებული საკითხების გაცნობის მიზნით.
- ♦ ამზადებს მოკლევადიანი და გრძელვადიანი დაკვირვებისათვის საჭირო ანგეზებსა და ფორმებს.
- ♦ ქმნის დისლოკაციის გეგმას, არჩევნების დღეს ქვეყნის თვალსაჩინო მოდელის შექმნის მიზნით.
- ♦ აწყობს არჩევნების შემდგომ დიბრიფინგს, რომელიც ქმნის არჩევნების შემდგომი წინასწარი განცხადებისა და საბოლოო ანგარიშის საფუძველს.

8.1 ODIHR-ის სადამკვირვებლო მისიის თავმჯდომარის მოადგილე

ODIHR-ის სადამკვირვებლო მისიის თავმჯდომარის მოადგილე ეხმარება ODIHR-ის სადამკვირვებლო მისიის თავმჯდომარეს ყველა აღნიშნული ვალდებულების შესრულებისას მისიის მოღვაწეობის პერიოდში და წარმოადგენს ODIHR-ის სადამკვირვებლო მისიის თავმჯდომარეს მისი არყოფნის დროს. ODIHR-ის სადამკვირვებლო მისიის თავმჯდომარის მოადგილის ძირითადი ვალდებულებაა რეგიონში მოქმედ გრძელვადიან დამკვირვებლებთან მუდმივი კონტაქტის შენარჩუნება, მათი ანგარიშების შეგროვება, ანალიზი და ODIHR-ის სადამკვირვებლო მისიის თავმჯდომარისათვის მიწოდება. ODIHR-ის სადამკვირვებლო მისიის თავმჯდომარის მოადგილე მისიის განხორციელების წინ და მის დასასრულს ეწვევა ვარშავას ბრიფინგსა და დიბრიფინგში მონაწილეობის მისაღებად.

8.2 ადმინისტრაციულ საკითხებსა და დამკვირვებელთა დისლოკაციაზე პასუხისმგებელი თანამშრომელი

ადმინისტრაციულ საკითხებსა და დამკვირვებელთა დისლოკაციაზე პასუხისმგებელი თანამშრომელი ინიშნება ODIHR-ის სადამკვირვებლო მისიის თავმჯდომარის დასახმარებლად სადამკვირვებლო მისიის სხვადასხვა ადმინისტრაციულ საკითხებთან დაკავშირებით (ფინანსური ასპექტების ჩათვლით). ადმინისტრაციულ საკითხებსა და დამკვირვებელთა დისლოკაციაზე პასუხისმგებელი თანამშრომელი დახმარებას უწევს მისიის თავმჯდომარეს მოკლევადიან და გრძელვადიან დამკვირვებელთა დისლოკაციის გეგმის შედგენაში. ადმინისტრაციულ საკითხებსა და დამკვირვებელთა დისლოკაციაზე პასუხისმგებელი თანამშრომელი უნდა ესწრებოდეს ბრიფინგსა და დიბრიფინგს ვარშავაში მისიის განხორციელების წინ და მის დასასრულს.

8.3 სადამკვირვებლო მისიის სხვა წევრები

სადამკვირვებლო მისიის ადგილზე მოღვაწეობის სპეციფიკიდან გამომდინარე ODIHR-მა შეიძლება დანიშნოს შემდეგი ექსპერტები:

- ♦ ექსპერტი მასმედიის დარგში — ODIHR-ის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელს აძლევს კონსულტაციებს მასმედიასთან დაკავშირებულ კანონმდებლობასა და არჩევნების დროს მასმედიასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე; ზოგიერთ შემთხვევაში მიზანშეწონილია, ამგვარ სპეციალისტთა ჯგუფის ყოლა, ამ სფეროში პროფესიული რჩევების მისაღებად.
- ♦ ექსპერტი სამართლის დარგში — ODIHR-ის სადამკვირვებლო მისიას აწოდებს კვალიფიციურ რჩევებს საარჩევნო კანონმდებლობისა და არჩევნების მარეგულირებელი დოკუმენტების შესახებ.
- ♦ ექსპერტი არჩევნების საკითხში — საარჩევნო პროცესისა და მისი ცალკეული ასპექტების შესაფასებლად; აგრეთვე, საარჩევნო ადმინისტრაციასთან და არჩევნებში მონაწილე ძირითად პოლიტიკურ ძალათა საარჩევნო კამპანიის ორგანიზატორებთან კონტაქტების დასამყარებლად.
- ♦ საფინანსო საკითხებზე პასუხისმგებელი თანამშრომელი — ყოველმხრივ ეხმარება სადამკვირვებლო მისიის თავმჯდომარეს და ადმინისტრაციულ საკითხებსა და დამკვირვებელთა დისლოკაციაზე პასუხისმგებელ თანამშრომელს ფინანსური საკითხების მოგვარებაში სადამკვირვებლო მისიის საქმიანობის უზრუნველყოფისას.

- ♦ ექსპერტი სტატისტიკის დარგში — აწოდებს მისიას რჩევებს დამკვირვებლის ანგარიშის ფორმების შედგენისა და ანგარიშთა შემდგომი ანალიზისათვის.
- ♦ პარლამენტის წევრებთან კავშირზე პასუხისმგებელი თანამშრომელი — უზრუნველყოფს კონტაქტს არჩევნების დაკვირვებაში მონაწილე საპარლამენტო დელეგაციებთან, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის საერთაშორისო სამდივნოს მიერ დანიშნულ თანამშრომლებთან.

9. წინასაარჩევნო პერიოდი: გრძელვადიანი დამკვირვებელი

არჩევნებზე დაკვირვება ერთი დღის საქმე არ არის. საარჩევნო პროცესი ფილმს უფრო ნაგავს, ვიდრე ფოტოს. დამკვირვებლებმა მხედველობაში უნდა მიიღონ სრული საარჩევნო ციკლის სხვადასხვა საფეხური: ამომრჩეველთა რეგისტრაციიდან დაწყებული ხმების დათვლის, გასაჩივრებისა და სადავო საკითხთა გადწყვეტით დამთავრებული.

ODIHR-ის გრძელვადიანი დაკვირვების დებულება მოითხოვს, რომ წევრ ქვეყნებს არჩევნებამდე ორი თვით ადრე გაეგზავნოს მოთხოვნა დამკვირვებელთა ძირითადი ჯგუფის გამოყოფის შესახებ.

გრძელვადიან დამკვირვებელთა მისიას ეკისრება მნიშვნელოვანი როლი შემდეგი საკითხების შესახებ უშუალო ინფორმაციის მიღებაში: საარჩევნო ადმინისტრაციის მუშაობის ეფექტურობისა და მიუკერძოებლობის ხარისხი; არჩევნებთან დაკავშირებული კანონებისა და წესების დაცვის ხარისხი; კამპანიის ხასიათი და თავისებურებანი, არჩევნების მიჯნაზე ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური გარემო. გრძელვადიანი დამკვირვებლები პასუხისმგებელი არიან წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგის განხორციელებაზე და შესაბამისად, ეხმარებიან მოკლევადიან დამკვირვებლებს მთელი საარჩევნო პროცესის შესახებ საჭირო ინფორმაციის მიღებაში.

გრძელვადიანი დამკვირვებლები აწარმოებენ კანონისა თუ პროცედურის ნებისმიერი დარღვევის მონიტორინგს საარჩევნო პროცესის ყველა სტადიაზე, ამომრჩეველთა განათლებისა და მათი რეგისტრაციის ჩათვლით. კერძოდ, მონიტორინგს ექვემდებარება: ეროვნული უმცირესობების ან ქალთა დისკრიმინაციის ფაქტები, როგორცაა ამომრჩეველთა საგანმანათლებლო პროგრამებზე დასწრების შეზღუდვა ან აკრძალვა, და აგრეთვე, საარჩევნო ადმინისტრაციაში მათი არასაკმარისი წარმომადგენლობა.

რძელვადიანი დამკვირვებლები მზად უნდა იყვნენ იმისათვის, რომ დანიშნულ დღეს დაესწრონ ODIHR-ის სადამკვირვებლო მისიის თავმჯდომარის მიერ ორგანიზებულ ბრიფინგს, რომელიც მიმოიხილავს შემდეგ საკითხებს:

- ♦ ეუთო-სა ინსტიტუტებისა და განსაკუთრებით ODIHR-ის როლი;
- ♦ ODIHR-ის დაკვირვების სახელმძღვანელოს მიმოხილვა, დამკვირვებელთა ქცევის კოდექსისა და არჩევნებზე დაკვირვების მეთოდოლოგიის ჩათვლით.
- ♦ დაკვირვების ფილოსოფიისა და მეთოდის ახსნა;
- ♦ საარჩევნო კანონმდებლობისა და წესების შეფასება;

- ◆ უსაფრთხოების საკითხების მიმოხილვა;
- ◆ პრესაში დაბეჭდილ განცხადებებზე რეაგირების წესების განმარტება.

ინსტრუქციის მიღების შემდეგ გრძელვადიან დამკვირვებელთა ორკაცვიანი ჯგუფები გადანაწილდება ქვეყნის ტერიტორიაზე, შერჩეულ პუნქტებში. გრძელვადიანი დამკვირვებლები დავკირვების შედეგებზე დაყრდნობით წარადგენენ შუალედურ ანგარიშებს, რომლებიც გამოიყენება მოკლევადიანი დამკვირვებლების მომზადების პროცესში და საბოლოო ანგარიშის მომზადებისას. გრძელვადიანი დამკვირვებლები უნდა დაესწრონ პერიოდულ შეხვედრებს, რომლებიც დავკირვების მსვლელობისას შესაძლოა დაინიშნოს ODIHR-ის სადამკვირვებლო მისიის თავმჯდომარის მიერ.

გრძელვადიან დამკვირვებლებს ევალებათ, საარჩევნო პროცესში ჩარევის გარეშე, დაამყარონ მუდმივი კონტაქტი რეგიონალურ და ადგილობრივ საარჩევნო და სამთავრობო უწყებებთან, პოლიტიკურ პარტიებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან (ადგილობრივი მეთვალყურეებისა და ადამიანთა უფლებების დაცვის საკითხზე მომუშავე ჯგუფების ჩათვლით), სხვა შესაბამის საზოგადოებრივ ასოციაციებთან, მასმედიასა და ეროვნულ უმცირესობებთან.

გრძელვადიანი დამკვირვებლები ახდენენ წინასაარჩევნო ციკლის შემდეგი ასპექტების მონიტორინგს:

1) საარჩევნო ადმინისტრაცია:

- ა. სახელმწიფო საარჩევნო ადმინისტრაცია: შემაჯგენლობა, ადამიანური რესურსები და მათი მომზადება, მატერიალური რესურსები;
- ბ. ამომრჩეველთა და სამოქალაქო განათლება;
- გ. ამომრჩეველთა იდენტიფიკაცია და რეგისტრაცია;
- დ. კანდიდატთა და პოლიტიკურ პარტიათა რეგისტრაცია;
- ე. საარჩევნო ოლქების საზღვრები;
- ვ. ბიულეტენის დიზაინი და უსაფრთხოება;
- ზ. დებულებები, რომლებიც შეეხება კენჭისყრის განსაკუთრებულ შემთხვევებს;
- თ. ხმების დათვლის, შეჯამებისა და გადამონმების პროცედურები;
- ი. საჩივრის შეტანისა და განხილვის პროცესები.

2) საარჩევნო კამპანია:

- ა. პოლიტიკური კამპანია;
- ბ. კამპანიის რესურსები;
- გ. მასმედია;
- დ. უშიშროების ძალების მოქმედება

9.1 საარჩევნო ადმინისტრაცია

ა. სახელმწიფო საარჩევნო ადმინისტრაცია: შემადგენლობა, ადამიანური რესურსები და მათი მომზადება, მატერიალური რესურსები

სახელმწიფო საარჩევნო ადმინისტრაციის შემადგენლობა

ქვეყანაში საარჩევნო პროცესს უძღვება სახელმწიფო საარჩევნო ადმინისტრაცია - ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცსკ) ან სხვა შესაბამისი უწყება. ზოგჯერ ამ ფუნქციას ასრულებს სასამართლო უწყება. მიუხედავად იმისა, თუ რომელი უწყება აგებს პასუხს საარჩევნო პროცესზე, მისი საქმიანობა უნდა იყოს დამოუკიდებელი, ღია და მიუკერძოებელი.

ადმინისტრაციული უწყება უნდა იყოს დამოუკიდებელი და დაცული პოლიტიკური მანიპულაციებისაგან, რასაც განსაზღვრავს პატივცემული, ნეიტრალური და გამოცდილი პიროვნებით დაკომპლექტებული შემადგენლობა. ადმინისტრაციული უწყება უნდა იცავდეს კანონმდებლობასა და წესებს საკუთარ შინაგანაწესში ყოველგვარი ჩარევისა და ძალდატანების გარეშე.

საარჩევნო ადმინისტრაცია შეიძლება ემყარებოდეს პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთა ბალანსსაც.

მრავალპარტიული წარმომადგენლობა, რომელიც თავის მხრივ მოიცავს თანაბარ წარმომადგენლობებს საარჩევნო კომისიის ყველა დონეზე, მოქმედებს როგორც მოცემული სისტემის დაბალანსების მექანიზმი. თუ პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი შედის საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში, იგი ვერ მიიღებს მონაწილეობას საარჩევნო კამპანიაში. პოლიტიკურ პარტიებს ეკრძალებათ თავისი წარმომადგენლის განვევა საარჩევნო კომისიის მიერ მიღებული განწყვეტილებების გამო.

სასურველია, რომ ადმინისტრაცია წარმოადგენდეს მუდმივ ორგანოს ან გააჩნდეს მუდმივმოქმედი აღმასრულებელი კომიტეტები. თუ ადმინისტრაცია დროებითი ორგანოა, მისი დამოუკიდებლობის გარანტია განისაზღვრება წევრების დანიშვნის წესით, რომლის მიხედვითაც წევრები ინიშნებიან მკაცრად განსაზღვრული ვადით და დაუბრკოლებლად უბრუნდებიან ძირითად სამსახურს აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ.

თუ არჩევნების ადმინისტრაციაზე პასუხს აგებს სასამართლო უწყება, მისი დამოუკიდებლობა უნდა უზრუნველყოს ღია პროცედურებმა. ამ უწყების წარმომადგენლები არ უნდა იყვნენ დამოკიდებულნი ხელისუფლებასა და სახელმწიფო თანამდებობებზე წარდგენილ კანდიდატებზე.

აუცილებელია, რომ ადმინისტრაცია იყოს მიუკერძოებელი. მან უნდა დანერგოს და ცხოვრებაში გაატაროს ნების გამოხატვის თავისუფლების იდეა, დაიცვას ადამიანთა ძირეული უფლებები და გააკონტროლოს კანონის დროული შესრულება. ძალაუფლების ცალმხრივი და უხეში გამოყენების სშირი შედეგია არჩევნების ლეგიტიმურობის დარღვევა.

საარჩევნო ადმინისტრაციის გამჭვირვალობის ზრდასა და საზოგადოებრივი

ნდობის დამსახურებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ისეთი სტრუქტურის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო საარჩევნო ადმინისტრაციის სხდომათა საჯაროობასა და დაინტერესებულ პირთათვის თითოეული სხდომის ოქმიდან ამონაწერთა მისაწვდომობას.

სახელმწიფო საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლიათ სხვადასხვა სამინისტროებს, სამოქალაქო ადმინისტრაციის სხვა ცენტრალურ უწყებებს, პრეფექტებსა და მთავრობის სხვა რწმუნებულ პირებს საოლქო დონეზე, აგრეთვე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს. მათი შესაძლოა დაეკისროთ ამომრჩეველთა სიების, ბიულეტენების, საარჩევნო ყუთების, ოფიციალური შტამპებისა და სხვა საჭირო მასალის გავრცელება, ამ მასალის შენახა და უსაფრთხოებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება. დამკვირვებლებმა უნდა იცნობდნენ ადგილობრივი უწყებებისა და შესაბამისი სამინისტროების უფლებამოსილებებს საარჩევნო პროცესის ფარგლებში.

ადამიანური რესურსები და მათი მომზადება

საარჩევნო პროცესის განხორციელებისათვის აუცილებელია, შესაბამისი ადამიანური რესურსები და სპეციალური უნარ-ჩვევები. გრძელვადიან დამკვირვებლებს ევალებათ გაეცნონ ინსტრუქციებს, რომლებიც გაიცა საარჩევნო კომისიის თანამშრომელთა მისამართით და შეაფასონ ამ თანამშრომელთა მომზადების დონე. გრძელვადიანი დამკვირვებლის მოვალეობათა რიცხვში შედის იმის გადამოწმებაც, თუ რამდენად კარგად იცნობენ ადმინისტრაციის თანამშრომლები თავიანთ ვალდებულებებს.

გრძელვადიანი დამკვირვებელი ამოწმებს, მოხდა თუ არა საარჩევნო კომისიის თანამშრომელთა მომზადება საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა დონეზე. მომზადების ამგვარი პროგრამა უნდა გაიარონ კომისიების პოლიტიკური პარტიების მიერ დანიშნულმა წევრებმაც. გრძელვადიანი დამკვირვებლები შეძლებისდაგვარად უნდა დაესწრონ ამგვარი სასწავლო პროგრამების სესიებს.

სახელმწიფო საარჩევნო ადმინისტრაციის მატერიალური რესურსები

საარჩევნო ადმინისტრაციის დამოუკიდებლობას აგრეთვე განსაზღვრავს სახელმწიფო წყაროებიდან გამოყოფილი გამჭვირვალე, სავმარისი და დამოუკიდებელი ბიუჯეტი.

გრძელვადიანმა დამკვირვებელმა უნდა დაადგინოს ახდენს თუ არა საარჩევნო ადმინისტრაცია ეფექტური საარჩევნო პროცესისათვის საჭირო მატერიალური სახსრების რეალისტურ და ადეკვატურ შეფასებას:

- ♦ როგორია საარჩევნო უბნების ფუნქციონირებისათვის საჭირო აღჭურვილობის ოდენობა და ხარისხი თითოეული უბნის ტერიტორიაზე?
- ♦ უზრუნველყოფს თუ არა საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე განთავსებული აღჭურვილობა (ბიულეტენების რაოდენობა, უსაფრთხო საარჩევნო ყუთები, საარჩევნო კაბინების რაოდენობა) საარჩევნო პროცესის შეუფერხებლობას?

- ◆ შესაძლებელია, ან საჭიროა თუ არა, საარჩევნო პროცესის კომპიუტეროზაცია?

ბ. ამომრჩეველთა და სამოქალაქო განათლება

დამკვირვებლებმა უნდა შეაფასონ ამომრჩეველთა და სამოქალაქო განათლების დონე და ეფექტურობა. საარჩევნო უფლებებისა და მოვალეობების შესახებ ამომრჩეველთა სრული ინფორმირებულობის უზრუნველსაყოფად, მიღწეული უნდა იქნეს ამომრჩეველთა სამართლებრივი კულტურის სათანადო დონე. ამ მიმართულებით განეული ძალისხმევა ხელს შეუწყობს ამომრჩეველთა ცოდნის ამაღლებასა და გაზრდის არჩევნებისადმი ინტერესს, აგრეთვე შექმნის საფუძველს ღია დებატებისათვის.

ამომრჩეველთა განათლება ფოკუსირებულია მოცემულ საარჩევნო პროცესზე და მიზნად ისახავს ამომრჩეველთა ინფორმირებას იმის შესახებ, თუ როდის, როგორ და სად უნდა მოხდეს კენჭისყრა. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ამ ცნობათა დროულად მიწოდებას, რათა ამომრჩეველს მიეცეს მიღებული ინფორმაციის გამოყენების საშუალება.

სამოქალაქო განათლება ხანგრძლივი პროცესია, რომელიც აცნობს მოქალაქეებს დემოკრატიული საზოგადოებისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის საფუძვლებს. სამოქალაქო განათლების მიზანია, შეუქმნას ამომრჩეველს ზოგადი წარმოდგენა შესაძლო არჩევანის შესახებ და განუმარტოს ამ არჩევანის მნიშვნელობა პოლიტიკური სისტემისათვის.

პოლიტიკურ პარტიებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს უდავოდ დიდი წვლილი შეაქვთ ამომრჩეველთა და სამოქალაქო განათლების საქმეში, მაგრამ ამომრჩეველთათვის სარწმუნო და ობიექტური ინფორმაციის უზრუნველყოფა, უპირველეს ყოვლისა, მთავრობისა და საარჩევნო ადმინისტრაციის მოვალეობაა. ეს ინფორმაცია უნდა მიეწოდოს ყველა ამომრჩეველს, ტრადიციულად დისკრიმინირებული ჯგუფების ჩათვლით (მაგ.: ეროვნული უმცირესობები).

შესაძლო პრობლემები: საარჩევნო პროცესის შესახებ ინფორმაციის გავრცელების დაგვიანება, მთავრობის მიერ დამახინჯებული ინფორმაციის გავრცელება (მაგ. : “საინფორმაციო ფურცელში” საარჩევნო ბიულეტენის შევსების ნიმუშით მანიპულირება), ცალკეული ჯგუფებისათვის ინფორმაციის მიუწვდომლობა ან გაუგებრობა ენობრივი ბარიერის გამო.

გ. ამომრჩეველთა იდენტიფიკაცია და რეგისტრაცია

საარჩევნო ასაკის ყველა მოქალაქე, უნდა სარგებლობდეს ხმის უფლებით თანასწორ საფუძველზე. ამომრჩეველთა სია წარმოადგენს ოფიციალურ დოკუმენტს, რომელიც შეიცავს საარჩევნო უფლების მქონე ყველა ამომრჩევლის ნუსხას შემდეგი პრინციპის მიხედვით: “ერთი ადამიანი - ერთი ხმა”.

რეგისტრაციის პროცედურები და ამ პროცედურებთან დაკავშირებული ყველა შესაძლებლობა მისაწვდომი უნდა იყოს ნებისმიერი ამომრჩევლისათვის. ამომრჩეველთა სია უნდა გამოქვეყნდეს არჩევნებამდე, რათა შესაძლებელი იყოს სი-

ამი ცალკეულ პირთა უკანონოდ შეტანის ან ამოღების ფაქტების გასაჩივრება.

გარკვეული საკანონმდებლო დებულებები უნდა განსაზღვრავდეს რეგისტრაციის მეთოდს, განრიგს, კვალიფიკაციასა და დისკვალიფიკაციას ეროვნული ნიშნის, ასაკის, საცხოვრებელი ადგილისა და დროებითი არყოფნის მიხედვით; ამასთანავე, ამავე დებულებების გათვალისწინებით უნდა განისაზღვროს იდენტიფიკაციის საშუალებები, სარეგისტრაციო ფორმები, ამომრჩეველთა სიის ფორმატი, ამომრჩეველთა სიის პროექტის გამოქვეყნება, აპელაციისა და გასაჩივრების პროცედურები, რეგისტრაციის დასრულების შემდეგ ამომრჩეველთა სიის გამოქვეყნება, ამომრჩეველთა სიების ინსპექტირების შესაძლებლობა და ამ პროცესთან დავაგშირებული უფლებები.

რეგისტრაციის პროცესის შეფასება მნიშვნელოვანია, ამომრჩეველთა რეგისტრაციის უკანონო შეზღუდვის ფაქტების თავიდან არიდებისათვის. უკანონო შეზღუდვათა რიცხვს მიეკუთვნება ამომრჩეველთა რეგისტრაციის შეზღუდვა რასის, სქესის, რელიგიური, ეთნიკური ან ენობრივი ნიშნის მიხედვით. უკანონო შეზღუდვები, აგრეთვე, შეიძლება დაეფუძნოს ამომრჩეველთა პოლიტიკური მრწამსს, საკუთრების ოდენობას, განათლების დონესა და ისეთ ფაქტორსაც, როგორცაა სარეგისტრაციო გადასახადის შეტანის შესაძლებლობა.

სამართლიანი შეზღუდვები განისაზღვრება შემდეგი ფაქტორებით: ამომრჩევლის მოქალაქეობა და საცხოვრებელი ადგილი. ამომრჩეველთა სიაში, გარდა აღნიშნულისა, არ შეიტანება: მოქალაქე, რომელიც სასამართლომ ქმედუწუნაროდ ცნო; მოქალაქე, რომელიც სასამართლოს განაჩენით იმყოფება სასჯელის აღსრულების ადგილებში. ზოგიერთ ქვეყანაში ამ ფაქტორების გათვალისწინებით, ამომრჩეველს შეიძლება აეკრძალოს არჩევნებში მონაწილეობა, ადამიანთა უფლებების დაურღვევლად. რაც შეეხება მოქალაქეობას — პირებს, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ცხოვრობენ ქვეყანაში, როგორც დე ფაქტო მოქალაქეები, უნდა მიეცეთ რეგისტრაციის თანაბარი შანსი არჩევნებში მონაწილეობისათვის.

მუდმივი და რეგულარულად განახლებადი ამომრჩეველთა სიის არსებობა მნიშვნელოვნად ამარტივებს ამომრჩეველთა რეგისტრაციის პროცესს. კომპიუტერიზებული სიის საშუალებით შესაძლებელია ამომრჩეველთა სიის სწრაფად და ეფექტურად კორექტირება, გადამონმება და დახვეწა. თუმცა, ზოგიერთ ქვეყანაში არ არის ამომრჩეველთა სიის კომპიუტერული ნიმუშის შექმნის შესაძლებლობა, ამდენად რეგისტრაციის მეთოდებს ქვეყანაში არსებული პირობები განსაზღვრავს.

თითოეული მეთოდი მოითხოვს ამომრჩეველთა იდენტიფიკაციისა და რეგისტრაციის გარკვეული პროცედურის დაცვას. ზოგჯერ საჭიროა, მზა სარეგისტრაციო ფორმებით სახლიდან სახლში სიარული (ამ შემთხვევაში რეგისტრაცია ხდება ბინაზე). აგრეთვე შესაძლებელია, ამომრჩეველთა მოზიდვა ადგილობრივ სარეგისტრაციო ცენტრებში. ამომრჩეველთა სია შეიძლება შეიქმნას მოსახლეობის აღწერის მონაცემებისა და სხვა სახელმწიფო სარეგისტრაციო დოკუმენტების საფუძველზე.

ართომასშტაბიანი ემიგრაცია, შიდა მიგრაცია და გადაადგილება არჩევნებიდან არჩევნებამდე მნიშვნელოვან ცვლილებებს იწვევს მოსახლეობის შემადგენლობაში. ადგილნაცვალ პირთა იდენტიფიკაცია და რეგისტრაცია რთული ტექნიკუ-

რი პროცედურა — ამომრჩეველი ხელახლა უნდა დარეგისტრირდეს სიაში ახალი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

მრავალჯერადი რეგისტრაციის შემთხვევების თავიდან არიდების მიზნით, საჭიროა გარკვეული დაცვითი ღონისძიებების გატარება. თუ ამომრჩეველებს დაურიგდათ სარეგისტრაციო ბარათები, უნდა გამოირიცხოს ამ ბარათების გადამრავლებისა და ფალსიფიკაციის შესაძლებლობა.

სისტემა, რომელიც ითვალისწინებს სპეციალური მონმობების არსებობას იმ ამომრჩეველთათვის, რომელთა სახელები არ იყო რეგისტრირებული საარჩევნო სიებში, ქმნის დამატებით შესაძლებლობებს არჩევნებში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად. თუმცა, იგივე სისტემის არსებობის პირობებში მნიშვნელოვნად იზრდება დარღვევების ალბათობაც. მონმობების გამოყენების შემთხვევაში დამკვირვებლებმა უნდა შეამოწმონ, სად და ვის მიერ იქნა გაცემული მონმობა. განმეორებითი კენჭისყრის გამორიცხვის მიზნით, სასურველია ხსენებული მონმობების დაშტამპვა (განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როცა ხელთ არ არის ამომრჩეველთა სია).

შენიშვნა. რიგ შემთხვევებში ამომრჩეველთა ოფიციალური სია შეიძლება არც არსებობდეს და კენჭისყრა სამოქალაქო სიის საფუძველზე განხორციელდეს. ამ დროს აუცილებელია, სამოქალაქო სიის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. განსაკუთრებულ შემთხვევებში ოფიციალური რეგისტრაცია არ ტარდება და ამომრჩეველთა რეგისტრაცია ხდება უშუალოდ არჩევნების დღეს საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე უსაფრთხოების შესაბამისი წესების დაცვით (მაგალითად, განმეორებითი კენჭისყრის გამორიცხვის მიზნით მდგრადი მელნის გამოყენებით).

დ. კანდიდატთა და პოლიტიკურ პარტიათა რეგისტრაცია

ყოველი მოქალაქის უფლება, ინდივიდუალურად ან პოლიტიკური პარტიისა და ორგანიზაციის სახელით დისკრიმინაციის გარეშე წარადგინოს საკუთარი კანდიდატი პოლიტიკურ ან სახელმწიფო თანამდებობაზე, გარანტირებულია კოპენჰაგენის 1990 წლის დოკუმენტის 7.5 დებულებით. კანონის უსაფუძვლო და დისკრიმინაციული გამოყენება ცალკეული პოლიტიკური ძალებისათვის ზიანის მიყენების მიზნით, ეწინააღმდეგება ეუთო-ს დებულებათა შინაარსს.

მოქალაქის უფლებას — იყოს არჩეული, განსაზღვრავენ იგივე ზოგადი პრინციპები, რომლებიც საფუძვლად უდევს მოქალაქის უფლებას, მონაწილეობა მიიღოს კენჭისყრაში. ამგვარად, ყველა პოლიტიკურ ძალასა თუ მოძრაობას უნდა გააჩნდეს კანდიდატთა თანასწორ პირობებში წარდგენის უფლება. ეს უფლება არ უნდა იზღუდებოდეს რასის, სქესისა თუ ენობრივი ნიშნის და აგრეთვე, რელიგიური მრწამსის, პოლიტიკური სიმპათიების, ეროვნული და ეთნიკური წარმომავლობისა და ეკონომიური სტატუსის მიხედვით.

იმ პირთა მიმართ, რომლებსაც სურთ იყვნენ არჩეულნი, შეიძლება გავრცელდეს რამდენიმე მართებული შეზღუდვა. კერძოდ, აღნიშნული პირი ვერ გაივლის რეგისტრაციას, თუ ეს პირი არ ცხოვრობს ქვეყნის ტერიტორიაზე გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ან ამ პირის ასაკი არ შეესაბამება მინიმალურ საარჩევნო ასაკს.

სარეგისტრაციო მოთხოვნები უნდა იყოს მკაფიო და ლოგიკური. სარეგისტრაციო მოთხოვნები არ უნდა გახდეს დისკრიმინაციის მიზეზი (მაგ: მაღალი გა-

დასახადი ან სარეგისტრაციო პეტიციაზე ხელმოწერათა გაუმართლებელი რაოდენობა). ნებისმიერ პარტიასა და კანდიდატს რეგისტრაციაზე უარის მიღების შემთხვევაში უნდა გააჩნდეს აპელაციის უფლება.

შესაძლო პრობლემები: პარტიათა და კანდიდატთა რეგისტრაციის არაკანონიერი შეფერხება, კანონში ამომრჩეველთა ზოგიერთი ჯგუფის მიმართ დისკრიმინაციული დებულებების არსებობა, კანდიდატთა და პარტიათა რეგისტრაციისას კანონის არასწორად გამოყენება.

ე. საარჩევნო ოლქების საზღვრები

ეუთო-ს დებულებათა თანახმად, ყველა ხმას უნდა ჰქონდეს თანაბარი ძალა, რაც ერთიანობაში უზრუნველყოფს თანაბარ წარმომადგენლობას. ეს ნიშნავს, რომ თითოეული არჩეული წარმომადგენელი წარმომადგენს რეგისტრირებულ ამომრჩეველთა თანაბარ რაოდენობას. მაგალითად: მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის დროს სხვაობა ცალკეულ საარჩევნო უბნებს შორის არ უნდა აღემატებოდეს ათ პროცენტს (10%). პროპორციული საარჩევნო სისტემის დროს საარჩევნო უბნების ზომების სხვაობა დასაშვებია, თუმცა თითოეული ოლქის წარმომადგენელთა რაოდენობა ოლქში ამომრჩეველთა რაოდენობის პროპორციული უნდა იყოს.

საარჩევნო კანონი უნდა უზრუნველყოფდეს დეტალურ და თანასწორ კრიტერიუმებს საარჩევნო ოლქების საზღვრების განსაზღვრისათვის. ამ კრიტერიუმების ჩამოყალიბება თითოეულ რაიონში უნდა მოხდეს მოსახლეობის რაოდენობის, ბუნებრივი, ადმინისტრაციული და ისტორიული საზღვრების გათვალისწინებით.

საზღვრები უნდა განისაზღვროს საჯარო წესით, იდეალურ შემთხვევაში მიუკერძოებელი ექსპერტებისაგან შემდგარი, სპეციალურად დანიშნული კომისიის მიერ. სხვა შემთხვევებში რთულდება იმის გარკვევა, ედო თუ არა ტერიტორიულ დაყოფას საფუძვლად პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპი.

ვ. ბიულეტენის დიზაინი და უსაფრთხოება

ბიულეტენის სირთულესა თუ სისადავეს უშუალო გავლენა აქვს საარჩევნო პროცესის ეფექტურობაზე. მისი შევსება მარტივი უნდა იყოს. გაყალბებისაგან თავის დაცვის მიზნით ბიულეტენი უნდა იყოს შტამპირებული კონკრეტული საარჩევნო უბნის ნიშნით და / ან ხელმოწერილი რწმუნებული პირის მიერ.

ODIHR-ის სადამკვირვებლო მისიის თავმჯდომარემ და გრძელვადიანმა დამკვირვებლებმა უნდა გაარკვიონ, სად დაიბეჭდა ბიულეტენი, როგორ და სად მოხდა მისი შენახვა და გავრცელება, როდის (არჩევნებამდე რამდენი ხნით ადრე) განხორციელდა ეს პროცესი. თუ გამოიყენება კონვერტები, შესაბამისი ღონისძიებები უნდა გატარდეს მათი გაყალბების აღბათობის გამოსარიცხად.

შესაძლო პრობლემები: მრავალენოვან საზოგადოებაში შესაძლოა კენჭისყრის მიმდინარეობისას ადგილი ჰქონდეს ზენოლას საარჩევნო ადმინისტრაციის მხრიდან იმ პირთა მიმართ, რომლებიც კარგად არ ფლობენ უმრავლესობის ენას.

ზ. კენჭისყრის განსაკუთრებულ შემთხვევებთან დაკავშირებული პირობები

კენჭისყრის განსაკუთრებული შემთხვევების რიცხვს მიეკუთვნება გადასატანი ყუთებით კენჭისყრა, წინასწარი კენჭისყრა და კენჭისყრის სხვა მეთოდები, რომლებიც განსაზღვრულია თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, საავადმყოფოებში მყოფი ამომრჩევლებისა ან სამხედრო სამსახურში განწვეული პირებისათვის. კენჭისყრის აღნიშნული შემთხვევები განსაკუთრებულ კონტროლს უნდა ექვემდებარებოდეს.

გადასატანი ყუთებით კენჭისყრა და წინასწარი კენჭისყრა

გადასატანი ყუთებით კენჭისყრა და წინასწარი კენჭისყრა ხელს უწყობს ხმის მიცემის პროცესში ელექტორატის ჩართულობის ზრდას. თუმცა არსებობს ამომრჩეველთათვის შექმნილი შეღავათების ბოროტად გამოყენების ალბათობაც, რამაც შესაძლოა, საფუძველი შეუწყვიოს საზოგადოების ნდობას საარჩევნო პროცესის მიმართ.

გრძელვადიანი დამკვირვებლის ამოცანაა დააკვირდეს და ჩანვდეს კენჭისყრის ამ მეთოდებთან დაკავშირებული შეღავათებისა და წესების შინაარსს, აღრიცხოს ის უბნები, რომლებშიც ჩატარდება წინასწარი კენჭისყრა.

რიგ შემთხვევებში ქვეყნის კანონმდებლობაში აისახება გარკვეული შეზღუდვები შეღავათების ამგვარ სისტემასთან დაკავშირებით. ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყნის კანონმდებლობა ხსენებული შეღავათების შეზღუდვას განიხილავს, როგორც საარჩევნო პროცესისადმი საზოგადოების ნდობის ამაღლებისათვის საჭირო, აუცილებელ ღონისძიებას და ეს ღონისძიება ტარდება იმის მიუხედავად, რომ იგი ზღუდავს ამომრჩეველთა გარკვეული წრის უფლებებს.

კენჭისყრა სამხედრო ნაწილებში, თავისუფლების აღკვეთის ადგილებსა და საავადმყოფოებში

სამხედრო ნაწილებში, თავისუფლების აღკვეთის ადგილებსა და საავადმყოფოების ტერიტორიაზე კენჭისყრის შემთხვევებში გრძელვადიანი დამკვირვებლის ამოცანაა გაარკვიოს:

- ♦ არჩევნების დღეს გატარდება თუ არა ყველა საჭირო ღონისძიება, რათა ჯარისკაცებს, ავადმყოფებსა და პატიმრებს მიეცეთ ხმის მიცემის შესაძლებლობა?
- ♦ უზრუნველყოფილია თუ არა რეგისტრაცია? როგორ არის გააზრებული განმეორებითი რეგისტრაციისა და მრავალჯერადი კენჭისყრის ალბათობის გამორიცხვის საკითხი?
- ♦ აღნიშნული კონკრეტული შემთხვევებისათვის შესაბამისი ღონისძიებების გატარდება, თუ კენჭისყრა ზოგადი წესის მიხედვით განხორციელდება?
- ♦ შეიქმნება თუ არა კენჭისყრის ფარულად, ძალდატანებისა და მუქარის გარეშე ჩატარებისათვის საჭირო პირობები?

თ. ხმების დათვლის, შედეგების შეჯამებისა და გადამოწმების პროცესი

არჩევნების წინ საარჩევნო ადმინისტრაციამ ელექტორატს, პარტიებსა და მასმედიას უნდა განუმარტოს ხმათა დათვლის და ბიულეტენების ტრანსპორტირების პროცედურები. საარჩევნო ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს საარჩევნო სისტემის გამჭვირვალობა და წინასწარი შედეგების წარდგენა არსებული განრიგის შესაბამისად. დამკვირვებლებმა უნდა შეაფასონ ეს პროცესი და დარწმუნდნენ, რომ იგი აღიქმება, როგორც ღია და საჯარო.

ხმათა დათვლის პროცედურა უნდა იყოს ღია და ექვემდებარებოდეს გადამოწმებას. კანდიდატთა წარმომადგენლებს, ადგილობრივ და საერთაშორისო დამკვირვებლებსა და მასმედიას უნდა ჰქონდეთ უფლება მთელი პროცესის დაკვირვებისა, ხმების დათვლის საფეხურის ჩათვლით.

კანდიდატთა წარმომადგენლებს, ადგილობრივ და საერთაშორისო დამკვირვებლებსა და მასმედიას წარმომადგენლებს აქვთ თითოეული საარჩევნო უბნის ოფიციალური შედეგების (ან ოქმის) ასლის მოთხოვნის უფლება. აღნიშნული დოკუმენტები უნდა გამოიფინოს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, რათა მისაწვდომი გახდეს საზოგადოებისათვის.

შედეგების შეჯამების პროცესი ღია უნდა იყოს გაცნობისათვის ყველა დონეზე (საარჩევნო უბნით დაწყებული, საოლქო და/ან ცენტრალური საარჩევნო კომისიით დამთავრებული), რაც გარანტირებული უნდა იყოს კანონით. ბიულეტენების ტრანსპორტირების წესი უნდა იყოს გამჭვირვალე და უსაფრთხო. თუ შედეგების გადაგზავნა მიმდინარეობს ელექტრონული გზით, დამკვირვებლებს უნდა ჰქონდეთ პროცესის მონიტორინგის განხორციელების შესაძლებლობა.

ი. გასაჩივრებისა და სარჩელების განხილვის პროცესი

საარჩევნო პროცესის ყოველ მონაწილეს უნდა ჰქონდეს დამოუკიდებელ, მიუკერძოებელ სახელმწიფო იურიდიულ ინსტანციაში აპელირების უფლება. გასაჩივრებისა და აპელაციის პროცედურა უნდა წარმოადგენდეს დავების განხილვის მექანიზმს.

დამკვირვებლებმა ყურადღება უნდა მიაქციონ გადასინჯვის პროცესზე პასუხისმგებელ პირთა შერჩევის პროცედურასა და აღნიშნული უწყების საბოლოო შემადგენლობას, მის უფლებამოსილებებსა და ინსტიტუციონალურ ავტონომიას, რამეთუ საჩივართა განხილვის მექანიზმის მიუკერძოებლობა საარჩევნო პროცესის სამართლიანად წარმართვის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია.

კანდიდატთა ან ამომრჩეველთა მიერ საარჩევნო პროცესთან დაკავშირებით წამოჭრილი ნებისმიერი საჩივრის განხილვა უნდა მოხდეს კანონით განსაზღვრული წესით, თანასწორ პირობებში. საარჩევნო კოდექსი მკაცრად უნდა განსაზღვრავდეს გასაჩივრების პროცედურის ნორმებსა და ვადებს. გარდა ამისა, უნდა არსებობდეს საჩივრის ფორმათა შესავსებად საჭირო ყველა პირობა და ამ საჩივართა შესაბამის სამართლებრივ უწყებებში გადაგზავნის მექანიზმი.

პასუხის შეტყობინება უნდა მოხდეს გარკვეულ ვადებში. ყველა დადგენილება უნდა რეგისტრირდებოდეს და ქვეყნდებოდეს.

შესაძლებელია, რომ საარჩევნო პროცესის მსვლელობისას რეგისტრირებული საჩივარი იქცეს მნიშვნელოვანი პრობლემის ინდიკატორად. გრძელვადიან დამკვირვებელთა ამოცანაა ამ პრობლემათა შემდგომი შესწავლა.

შესაძლო პრობლემები: საჩივართა განხილვის გადავადება არჩევნების შემდგომ პერიოდზე, საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენელთა გამოუცხადებლობა სასამართლო პროცესზე, განხილვის პროცესის გაუმჭირვალეობა.

9.2 საარჩევნო კამპანია

ა. პოლიტიკური კამპანია

ეუთო-ს დებულებათა თანახმად, პოლიტიკური კამპანია უნდა ჩატარდეს გარემოში, რომელიც უზრუნველყოფს თვითგამოხატვის, მშვიდობიანი თავშეყრისა და ასოციაციის თავისუფლებას. ეს უფლებები მუდმივად უნდა იყოს დაცული, რათა ჩამოყალიბდეს პოლიტიკური პლატფორმები და მოქალაქეები იღებდნენ იფორმაციას კანდიდატებისა და მათი პროგრამების შესახებ. უსაფრთხოების ზომები, რომელთა გატარებასაც საჭიროდ ჩათვლის სახელმწიფო, არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს აღნიშნულ დებულებებს.

მთავრობა პასუხს აგებს იმაზე, რომ საარჩევნო პროცესში მონაწილე ყველა კანდიდატი იზიარებდეს საარჩევნო კამპანიის წარმართვის ძირითად პრინციპებს. კანდიდატთა მიერ შესაძლოა მიღებულ იქნეს ზოგადი ქცევის კოდექსი, რომელიც საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას აკრძალავს აგიტაციის მიზნით ძალადობის მეთოდების გამოყენებასა და სხვა უპასუხისმგებლო ქცევას.

კანდიდატებს უნდა მიენიჭოთ სრული თავისუფლება საკუთარი პროგრამების გავრცელებისას: იკრძალება მიტინგების მსვლელობაში ყოველგვარი ჩარევა და საარჩევნო კამპანიის სივრცითი ლიმიტირება მთავრობის მიერ აკრძალული ზონების დაწესების გზით. კარგად უნდა იყოს მოაზრებული მიტინგების ჩატარებაზე, პოლიტიკურ შეხვედრებსა და ფინანსური მხარდაჭერის მოსაპოვებლად მიმართულ საქმიანობაზე ნებართვის გაცემის პროცედურა. ამასთანავე, უნდა არსებობდეს სასამართლო პროცესის აღძვრის შესაძლებლობა ამგვარი ნებართვის გაცემის გაჭიანურების შემთხვევაში.

დამკვირვებლის ამოცანაა, თვალი მიადევნოს პოლიტიკური კამპანიის წარმოებასთან დაკავშირებულ შემდეგ დეტალებს: არსებობს თუ არა შესაბამისი პირობები კამპანიის წარმოებისათვის, ხომ არ იზღუდება ცალკეულ პარტიათა თუ კანდიდატთა არჩევანი და უფლებები თავშეყრის ადგილის შერჩევისას ან კამპანიის მასალათა გავრცელებისას. დამკვირვებლებმა უნდა დააფიქსირონ, აგრეთვე, ცალკეული საარჩევნო კამპანიის შეზღუდვის მიზნით ძალადობის გამოყენების ფაქტები.

ბ. კამპანიის წარმოებისათვის საჭირო რესურსები

ეფექტური საარჩევნო კამპანიის წარმართვისათვის საჭიროა შესაბამისი დაფინანსება. კამპანიის წარმოებისათვის საჭირო დანახარჯი შეიძლება მოიცავდეს: ხელფასს, სატრანსპორტო ხარჯებს, ოფისის ქირას, ბეჭდვით და ელექტრონულ მედიაში ადგილის შესყიდვის ხარჯს, მასალათა გამოქვეყნებისა და გავრცელების ხარჯებს.

მართალია, არჩევნები ყოველთვის არ ტარდება სრულიად თანასწორ პირობებში, მაგრამ უნდა არსებობდეს ერთიანი და მიუკერძოებელი წესი ყველა კან-

დიდატის ფინანსირების უზრუნველსაყოფად.

ამ პროცესის რეგულირება შესაძლებელია საარჩევნო კანონით ან სახელმწიფო ფინანსირების შესახებ ცალკე კანონმდებლობით, თუ შესაბამისი ფონდები სახელმწიფოს მიერ იქნება გამოყოფილი.

მთავრობამ არ უნდა გამოიყენოს სახელმწიფო რესურსები (ადამიანური და მატერიალური) მმართველი პარტიისა და მისი კანდიდატების სასარგებლოდ. დაუშვებელია სამთავრობო მანქანების, ოფისებისა და ტელეკომუნიკაციის ამ მიზნით გამოყენება (გარდა ისეთი შემთხვევებისა, როცა აღნიშნული შეღავათები თანაბრად ვრცელდება ყველა კანდიდატზე).

საარჩევნო კამპანიის მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენს აგრეთვე დრო. საარჩევნო კამპანიის ხანგრძლივობა სავმარისი უნდა იყოს ამომრჩეველთათვის კანდიდატთა პროგრამების გასაცნობად. ამასთანავე, დროულად უნდა იყოს გარანტირებული თვითგამოხატვის, თავშეყრისა და ასოციაციის უფლებებიც, რაც მნიშვნელოვანია სრულფასოვანი საარჩევნო კამპანიის წარმართვისათვის.

საჭიროა, დამკვირვებელმა შეაფასოს, რესურსების სხვაობა იწვევს თუ არა ამომრჩეველთა ცუდ ინფორმირებულობას შესაძლო ალტერნატივების შესახებ და მოქმედებს თუ არა არჩევნების საბოლოო შედეგზე.

შესაძლო პრობლემები: საარჩევნო კამპანიის ფინანსირების წესები ხელს უშლის კამპანიის სრულფასოვნად წარმართვას.

გ. მასმედია

ეუთო-ს დებულებები გულისხმობს მასმედიის საშუალებათა დაუბრკოლებელი გამოყენების შესაძლებლობას დისკრიმინაციისაგან თავისუფალ პირობებში.

დემოკრატიული მმართველობის არსი თავისთავად მოითხოვს, რომ ელექტორატს ჰქონდეს ინფორმირებული არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა. ეს კი ნიშნავს, რომ საზოგადოებრივი და სახელმწიფო ფონდებიდან დაფინანსებული მასმედია უნდა იქცეს განსხვავებულ აზრთა შესახებ მსჯელობის ტრიბუნად. სახელმწიფო სამაუწყებლო კომპანიებს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ საარჩევნო პროცესის ბალანსირებულ გაშუქებაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმატებული საარჩევნო კამპანიის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა კონტროლი სახელმწიფოს მხრიდან. მრავალრიცხოვანი და ფინანსურად ძლიერი პოლიტიკური პარტიები დაუბრკოლებლად იქირავებენ დროსა და ადგილს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში. არჩევნებში მონაწილე ყველა კანდიდატისათვის ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებათა მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად სახელმწიფომ უნდა შეიმუშავოს ერთიანი და მიუკერძოებელი პოლიტიკა მასმედიის საშუალებებში დროისა და ადგილის განაწილების შესახებ. მასობრივი ინფორმაციის სახელმწიფო საშუალებების დრო/ადგილი უნდა გადანაწილდეს უფასოდ, ან ამ მიზნით უნდა გამოიყოს შესაბამისი დაფინანსება.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე საარჩევნო კამპანიის მსვლელობის ობიექტურ და შეძლებისდაგვარად ამომწურავ გაშუქებასაც. ამასთანავე, არ უნდა მოხდეს სახელმწიფო მნიშვნელობის მოვლენათა აღრევა საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირე-

ბულ საკითხებთან, რაც დამახასიათებელია იმ პირთა საარჩევნო კამპანიებისათვის, რომლებიც დაკავებული თანამდებობების შენარჩუნებას ცდილობენ.

ეს საკითხი მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას ელექტორატის ინფორმირების პროცესის დამოუკიდებლობის ხარისხის შეფასებისას.

სახელმწიფოს მიერ პრესის მისამართით უნდა გაიცეს შემდეგი გარანტიები:

- ♦ ინფორმაციის შეგროვება და მოვლენების ობიექტურად გაშუქება ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე;
- ♦ დაუშვებელია საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებული შეტყობინებების ცენზურა და თვითნებური თუ დისკრიმინაციული ბლოკირება.

გრძელვადიან დამკვირვებელთა ამოცანაა, დააკვირდნენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს. პრესის ზუსტი და მეცნიერული ანალიზის შედეგების მოსაპოვებლად რიგ შემთხვევებში საჭიროა სპეციალურ სააგენტოებთან დაკავშირება.

შესაძლო პრობლემები: კანდიდატთა დისკრედიტაცია სახელმწიფო პრესაში, ცალკეულ პოლიტიკურ პარტიათა და კანდიდატთა საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებულ შეტყობინებათა ბლოკირება ან არამომგებიან დროს გაშუქება სახელმწიფო მასმედიაში, არჩევნების მსვლელობისას მასმედიის საშუალებებზე ზენოლა ან მუქარა, ნაბეჭდი პროდუქციის გაერცელების სისტემაში ჩარევა.

დ. უშიშროების ძალთა მოქმედების წესები

საარჩევნო კამპანიისა და ხმის მიცემის პროცესის განმავლობაში უშიშროების ძალებს ევალებათ ამომრჩეველთა და კანდიდატთა დაშინების ფაქტების თავიდან არიდება. ამასთანავე, უშიშროების ძალები თავად არ უნდა იქცნენ დაშინების საშუალებად. დაშინებას შესაძლოა მოჰყვეს სერიოზული შედეგები, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ დაშინებას ახდენს დაცვის თანამშრომელი. ჩვეულებრივ, დაშინების ეფექტის გაზომვა რთულია, მაგრამ დაცვის თანამშრომელთა მიერ განხორციელებული დაშინების ფაქტები საკმაოდ თვალსაჩინოა.

10. არჩევნების ფაზა: ბრძოლვადიანი და მოკლევადიანი დამკვირვებლები

მოკლევადიანი დამკვირვებელი ჩვეულებრივ ჩადის ქვეყანაში უშუალოდ არჩევნების დღის წინ. მოკლევადიან დამკვირვებელთა მისია მრავალრიცხოვანია და გადანაწილებულია მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე. არჩევნების ჩატარების პროცესი პირობითად შეიძლება დაიყოს სამ საფეხურად: წინასაარჩევნო კამპანიის დასკვნითი დღეები; არჩევნების დღე; ხმათა დათვლა და შედეგების შეჯამება.

10.1 წინასაარჩევნო კამპანიის დასკვნითი დღეები

ა. ბრიფინგი

დამკვირვებელი კარგად უნდა იცნობდეს საარჩევნო პროცესის სპეციფიკას, არჩევნების პროცედურულ და სამართლებრივ ასპექტებსა და არჩევნების პოლიტიკურ და სოციალურ კონტექსტს.

დამკვირვებელთა დისლოკაციის წინ ODIHR-ის სადამკვირვებლო მისიის თავმჯდომარემ უნდა მოაწყოს ბრიფინგი, რომლის მიზანია:

- ♦ ეუთო-ს ინსტიტუტებისა და განსაკუთრებით - ODIHR-ის როლის განმარტება;
- ♦ ODIHR-ის სახელმძღვანელოს (ქვეყნის კოდექსისა და დამკვირვების მეთოდოლოგიის) მიმოხილვა;
- ♦ სადამკვირვებლო მისიის ფილოსოფიის, მეთოდებისა და სპეციფიკის განმარტება;
- ♦ წინასაარჩევნო პროცესის შეფასება გრძელვადიანი დამკვირვების შედეგების მიხედვით;
- ♦ არჩევნების წინ ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური და სოციალური კლიმატის შეფასება;
- ♦ მედიის თავისუფალი და დამოუკიდებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო პირობების შეფასება;
- ♦ საარჩევნო კანონისა და მისი პრაქტიკული განხორციელების შეფასება;
- ♦ ხმის მიცემისა და ხმათა დათვლის პროცედურის ახსნა;
- ♦ საკონტროლო ფორმების გამოყენების წესებისა და დიზაინის გაცნობა;
- ♦ დისლოკაციის გეგმისა და ჯგუფების შემადგენლობის გაცნობა (დასაშვებია მხოლოდ აკრედიტირებულ დამკვირვებელთა დასწრება);
- ♦ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა;
- ♦ მასმედიის განცხადებებზე რეაგირების წესების გაცნობა.

ბრიფინგზე წარმოდგენილი ინფორმაცია უნდა მოიცავდეს სახელმწიფო საარჩევნო კანონისა და შესაბამისი წესების თარგმნილ ასლებს, ზოგად ინფორმაციას ქვეყნის შესახებ, საკონტაქტო ტელეფონებს, სახელმწიფოს რუქას საარჩევნო ოლქების აღნიშვნით, ODIHR-ის სახელმძღვანელოსა და საკონტროლო ფორმებს.

შესაძლოა დამატებითი ბრიფინგის ჩატარება ODIHR-ის სადამკვირვებლო მისიასთან თანამშრომლობის სურვილის მქონე საპარლამენტო დელეგაციებისათვის. საჭიროების შემთხვევაში ODIHR-ს დახმარებას გაუწევს ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეას ამგვარი ბრიფინგის ორგანიზებაში.

ბ. საკონტროლო ფორმები

არჩევნებზე დამკვირვების ODIHR-ის მეთოდიკა გულისხმობს როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ ანალიზს. სტატისტიკური ანალიზისათვის დამკვირვებლებს ევალებათ სტანდარტული ფორმების შევსება (იხ. დანართი ბ). საარჩევნო უბნების ტერიტორიაზე შევსებული ფორმები ქმნიან არჩევნების დღის ანალიზის საფუძველს და ამასთანავე ასრულებენ დამკვირვებელთა დღიურის

ფუნქციას.

შევსებული საკონტროლო ფორმები იძლევა არჩევნების დღესთან დაკავშირებული ყველა ასპექტის მონიტორინგისა და შეჯამების საშუალებას, თუმცა რაოდენობრივი ანალიზი ყოველთვის არ არის შესაძლებელი დამკვირვებელთა მიერ მონახულებულ საარჩევნო უბანთა საერთო რაოდენობის სიმცირის გამო. რაოდენობრივი ანალიზი შესაძლებელია საარჩევნო უბნებზე შევსებული სულ ცოტა 500 ფორმის საფუძველზე, მთელი ქვეყნის მასშტაბით უბნების რეპრეზენტაციული მეთოდით შერჩევის გზით.

გ. საარჩევნო კამპანიაზე დაკვირვება

მოკლევადიანი დამკვირვებლები ჩვეულებრივ საარჩევნო კამპანიის დასკვნითი ეტაპის დაკვირვებას აწარმოებენ. წინასაარჩევნო დაკვირვება შესაძლოა მოიცავდეს შემდეგ საკითხებს:

- ♦ არის თუ არა საარჩევნო კამპანია დინამიური, აქტიურად მონაწილეობენ თუ არა მასში ამომრჩევლები?
- ♦ არსებობს ამომრჩევლებს შორის ღია და თავისუფალი დებატებისათვის საჭირო გარემო, თუ კამპანია შიშის ატმოსფეროში მიმდინარეობს?
- ♦ არსებობს თუ არა საარჩევნო კამპანიის მსვლელობის დამადასტურებელი რეალური მასალა, მაგ: პლაკატები და შესაბამისი ლიტერატურა?
- ♦ კანდიდატთა/პარტიათა რამდენად ფართო წრეს წარმოადგენს ეს მასალები?
- ♦ ხორციელდება თუ არა სამოქალაქო განათლების პროგრამა, რამდენად მომზადებული და მოტივირებულია ელექტორატი?
- ♦ არის თუ არა თანაბრად მოტივირებული საზოგადოების ყველა სექტორი?
- ♦ საარჩევნო კამპანიის მედიაში გაშუქების პროცესი დაბალანსებულია თუ შეიმჩნევა მიკერძოება ცალკეული კანდიდატებისა და პარტიების მიმართ?

საჭიროა, დამკვირვებლები დააკვირდნენ წინასაარჩევნო შესვედრებს და საარჩევნო კამპანიის გაშუქებას მასმედიის მეშვეობით. ქცევის კოდექსის თანახმად, მათ არა აქვთ საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებული მოვლენების შესახებ მსჯელობის, საჯარო განცხადებების გაკეთების და პარტიულ კუთვნილებაზე მიმანიშნებელი რაიმე სიმბოლოს ტარების უფლება. დამკვირვებლებმა თან უნდა იქონიონ ოფიციალური ავრედიტაციის დამადასტურებელი საბუთი.

10.2 არჩევნების დღე

ა. დამკვირვებელთა დისლოკაცია

ODIHR-ის სადამკვირვებლო მისიის თავმჯდომარე წარმოადგენს, ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეასთან, სხვა საერთაშორისო სადამკვირვებლო ჯგუფებთან და ადგილობრივ საელჩოებთან თანამშრომლობის საფუძველზე, კონსენსუსით შემუ-

შავებულ დისლოკაციის გეგმას. დისლოკაციის მიზანია, დამკვირვებელთა ჯგუფების გაზრებული გადანაწილება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე რესურსების სწორად გამოყენებისა და არჩევნების დღეს რეპრეზენტაციული მოდელის შექმნის მიზნით. დისლოკაციის გეგმამ უნდა უზრუნველყოს ქალაქებსა და სოფლად, აგრეთვე რეგიონალურ და ცენტრალურ საარჩევნო კომისიებში, დამკვირვებელთა ბალანსირებული განაწილება. იმ შემთხვევაში, როცა არჩევნები ტარდება სამხედრო ნაწილებში, თავისუფლების აღკვეთის ადგილებსა და სავადმყოფოებში, დისლოკაციის გეგმაში უნდა იყოს გათვალისწინებული ეს შემთხვევებიც.

დამკვირვებლები იყოფიან ორკაციან ჯგუფებად. გეოგრაფიული და აგრეთვე უბნებზე შექმნილი პირობებიდან გამომდინარე, დამკვირვებელთა ჯგუფს შეუძლია დღის განმავლობაში დაახლოებით 10-20 საარჩევნო უბნის დათვალიერება. დამკვირვებლებს უნდა ახსოვდეთ, რომ დღის განმავლობაში საარჩევნო უბნების მაქსიმალური რაოდენობის დათვალიერება თვითმიზანი არ არის. ხანდახან უპრიანია თითოეულ უბანში გატარებული დროის გაზრდა საარჩევნო უბნების რაოდენობის შემცირების ხარჯზე.

ბ. მოქმედება საარჩევნო უბნის დონეზე

საარჩევნო უბნის დონეზე დამკვირვების ძირითადი მიზანი არის ხმის მიცემისა და ხმათა დათვლის პროცესების მიმდინარეობის საარჩევნო კანონმდებლობასთან შესაბამისობის შემოწმება.

საარჩევნო უბანში მისვლისთანავე, დამკვირვებლებმა საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს უნდა წარუდგინონ აკრედიტაცია და პასუხისმგებელ პირებს განუმარტონ კონკრეტული ვიზიტის მიზანი.

ჩვეულებრივ, დამკვირვებელი უბანს გახსნამდე რამდენიმე ხნით ადრე ეწვევა. ამ შემთხვევაში დამკვირვებელი ესწრება უბნის გახსნის პროცედურას, ამოწმებს საარჩევნო ყუთებს დალუქვამდე და აფიქსირებს არჩევნების დაწყების დროს.

საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე შესვლისას დამკვირვებელს მხედველობიდან არ უნდა გამოორჩეს ნებისმიერი უჩვეულო დაძაბულობა. პირველ წუთებს სწორად გადამწვეტი მნიშვნელობა აქვს საარჩევნო უბანში არსებული სიტუაციის შესახებ პირველადი და ზუსტი შთაბეჭდილების შექმნისათვის. თუმცა, სიტუაციის შეფასებას ხანდახან მეტი დრო სჭირდება. თითოეული უბნის დათვალიერებისათვის დამკვირვებლებმა სულ ცოტა 30 წუთი უნდა გამოყოს.

დამკვირვებელი აგრეთვე უნდა დაესწროს საარჩევნო უბნის დახურვასაც, რათა დარწმუნდეს შესრულდა თუ არა დახურვის ყველა პროცედურა და დააკვირდეს ხმების დათვლის პროცესს.

დამკვირვებელმა თავი უნდა შეიკავოს რჩევებისაგან. რჩევა დასაშვებია, როცა ადგილი აქვს თხოვნას ადგილობრივ პასუხისმგებელ პირთა მხრიდან. ამ შემთხვევაშიც დამკვირვებელი უნდა იყოს ფრთხილად, რათა არ გადააჭარბოს საკუთარ კომპეტენციას. დამკვირვებელს შეუძლია მიაწინოს ადგილობრივ პასუხისმგებელ პირებს პრობლემაზე, მაგრამ არა აქვს ამ პრობლემის გადანყვეტის პროცესში ჩარევის უფლება. დამკვირვებელმა უნდა დააფიქსიროს ყველა დარღვევა. დიბრიფინგის დროს გაირკვევა, ეს დარღვევა შემთხვევით მოვლენას

წარმოადგენს, თუ ზოგადი ხასიათი აქვს.

თუ უბნის ტერიტორიაზე ადგილი აქვს სერიოზულ დარღვევას, დამკვირვებელმა უნდა გამოყოს დამატებითი დრო უბანზე დასარჩენად ან დაბრუნდეს დღის ბოლოს. დამკვირვებელმა უნდა აუწყოს ზემდგომ საარჩევნო კომისიას უბნის ტერიტორიაზე სერიოზული დარღვევის დაფიქსირების შემთხვევაში.

დამკვირვებელმა უნდა გაიცნობიეროს ის ფაქტი, რომ ცალკეულ დარღვევებს პასუხისმგებელი პირების მხრიდან ხშირად საფუძვლად უდევს გამოუცდელობა და არა წინასწარი განზრახვა.

გ. გამოკითხვა საარჩევნო უბანზე

საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე დამკვირვებელი უნდა გაესაუბროს სამ ჯგუფს: საარჩევნო კომისიას, ამომრჩევლებს და არსებობის შემთხვევაში — ადგილობრივ (პარტიულ, კანდიდატების მიერ მოვლენილ ან დამოუკიდებელ) დამკვირვებლებს. უნდა იყოს გათვალისწინებული ყველა თვალსაზრისი, რომელთა გადამონშეცემა შესაძლებელია. დამკვირვებელს უნდა ახსოვდეს, რომ არსებობს ცალკეულ პირთა მიერ ინფორმაციით მანიპულირების ალბათობა. სიტუაციის შეფასებისას დამკვირვებელი, უპირველეს ყოვლისა, უნდა ხელმძღვანელობდეს საკუთარი მოსაზრებებით. დამკვირვებელი უნდა შეეცადოს შესაძლებლობის ფარგლებში გაესაუბროს თითოეული ჯგუფის სხვადასხვა წარმომადგენელს.

უბნის საარჩევნო კომისია

დამკვირვებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ არჩევნების მსვლელობაზე პასუხისმგებელი ყველა პირი საარჩევნო კომისიის წევრია. უბნის საარჩევნო კომისიის საქმიანობის შეფასებისას შესაძლოა ყურადღება მიექცეს შემდეგ საკითხებს:

- ♦ როგორ მოხდა საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე არჩევნებზე პასუხისმგებელ პირთა შერჩევა და მომზადება შესაბამისი ვალდებულებების შესრულებისათვის?
- ♦ საარჩევნო კანონის გარდა, არსებობს თუ არა წერილობითი ინსტრუქციები?
- ♦ როგორ ნაწილდება ფუნქციები საარჩევნო კომისიაში ბიულეტენების ეფექტური და უსაფრთხო გავრცელებისა და ამომრჩეველთა მიერ ხმის მიცემის ყველა ეტაპის გავლის უზრუნველყოფის მიზნით?
- ♦ როდის მიენოდა საარჩევნო უბანს ბიულეტენები და სხვა მასალა და სად ინახებოდა ეს მასალა არჩევნების დღემდე?
- ♦ რამდენი ბიულეტენი მიიღო თავდაპირველად საარჩევნო უბანმა?
- ♦ რამდენი ამომრჩეველი რეგისტრირებული ამომრჩეველთა სიაში და რამდენმა ამომრჩეველმა მიიღო მონაწილეობა ხმის მიცემის პროცესში? (ამ მონაცემების საფუძველზე შესაძლოა მოხდეს შესაბამისი პროცენტის გამოთვლა).
- ♦ არსებობს თუ არა დამატებითი სია ავადმყოფთა და ხანდაზმულთათვის, რომლებიც ხმას აძლევენ გადასატანი ყუთების მეშვეობით, ხომ არ არის ამ სიაში რეგისტრირებულ პირთა რიცხვი საეჭვოდ დიდი?

- ◆ მიიღო თუ არა ცალკეულმა ამომრჩეველმა უარი, საარჩევნო სიაში არყოფნისა თუ პირადობის დამადასტურებელი საბუთის უქონლობის გამო და როგორ წარმოებდა ამ პრობლემათა გადაწყვეტა?
- ◆ ხომ არ ჰქონდა ადგილი გარკვეულ დარღვევებს, უწესრიგობასა თუ ჩივილს და როგორ ხდებოდა მათი გადაწყვეტა?

ამომრჩეველი

ელექტორატის განწყობისა და საარჩევნო პროცესისადმი მისი ნდობის გამოკვლევის მიზნით, დამკვირვებელი უნდა გაესაუბროს ამომრჩეველებს. თუ საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე არ არის შექმნილი ფარული კენჭისყრისათვის იდეალური პირობები, დამკვირვებელი უნდა დააკვირდეს, დარწმუნებულია თუ არა ამომრჩეველი საარჩევნო პროცესის ფარულობაში, არის თუ არა იგი სავმარისად ინფორმირებული და იცნობს თუ არა ხმის მიცემის პროცედურას.

ადგილობრივი დამკვირვებლები

კოპენჰაგენის დოკუმენტის მე-8 დებულება მხარს უჭერს ადგილობრივ დამკვირვებელთა დასწრებას საარჩევნო უბნებში. ადგილობრივ დამკვირვებლებს მიეკუთვნება პარტიული დამკვირვებლები, კანდიდატთა წარმომადგენლები და დამოუკიდებელი საზოგადოებრივი დამკვირვებლები. ყოველ მათგანს უნდა ჰქონდეს საარჩევნო უბნებზე ყოფნისა და საარჩევნო პროცესის ყველა საფეხურზე დასწრების უფლება.

უნდა აღინიშნოს, რომ ODIHR-ის სადამკვირვებლო მისიის საქმიანობა წარმოებს ადგილობრივ დამკვირვებელთა ჯგუფების საქმიანობისაგან დამოუკიდებლად, რაც იძლევა საარჩევნო პროცესის ფარგლებში დამკვირვებელთა ორი განსხვავებული ჯგუფის ფუნქციათა გამიჯვნის შესაძლებლობას. საერთაშორისო დამკვირვებელმა უნდა დააფიქსიროს საარჩევნო უბნებზე ადგილობრივ დამკვირვებელთა დასწრებისა და დასწრების აკრძალვის ან სადამკვირვებლო ფუნქციათა შეზღუდვის ფაქტები. მათ კომენტარებს მნიშვნელობა აქვს საარჩევნო უბნების ტერიტორიაზე შექმნილი გარემოსა და ზოგადად, საარჩევნო კომისიის საქმიანობის სრულფასოვანი შეფასებისათვის.

ამომრჩეველთან და ადგილობრივ დამკვირვებელთან საუბარი უნდა წარმოებდეს კონფიდენციალურად, ადგილობრივი ოფიციალური პირებისათვის შეუმჩნევლად.

დ. დამკვირვება საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე

დამკვირვებლები ავსებენ ODIHR-ის სადამკვირვებლო მისიის თავმჯდომარის მიერ მონოდეტულ სპეციალურ საკონტროლო ფორმებს, სადაც აფიქსირებენ დამკვირვების შედეგებს. ფორმები შეიცავს შემდეგ კითხვებს:

- ◆ ადვილად მიღწევადია თუ არა საარჩევნო უბანი?
- ◆ როგორ არის მოგვარებული საორგანიზაციო საკითხები, ხომ არ არის უჩვეულოდ დიდი რიგი საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე?
- ◆ ხომ არ არის უბნის ტერიტორიაზე ცალკეული პარტიის/კანდიდატის

საარჩევნო კამპანიის მასალები ან ხომ არ წარმოებს უბნის ტერიტორიაზე სააგიტაციო საქმიანობა?

- ◆ აღინიშნება თუ არა ამომრჩეველთა ხმის მისაცემად ნაქეზების ფაქტები?
- ◆ იმყოფებიან თუ არა უბნის ტერიტორიაზე პოლიციის წარმომადგენლები, უშიშროების ძალები, მთავრობის წარმომადგენლები?
- ◆ იმყოფებიან თუ არა უბნის ტერიტორიაზე გარეშე პირები?
- ◆ მომზადებულია თუ არა პერსონალი და რამდენად თავისუფლად საუბრობს იგი თავის ვალდებულებებზე?
- ◆ როგორ წარმოებს ამომრჩეველთა იდენტიფიკაცია?
- ◆ ზუსტია თუ არა ამომრჩეველთა სია?
- ◆ როგორ წარმოებს ამომრჩეველთა რეგისტრაცია — სახელთა გადახაზვით თუ შესაბამისი შტამპების დასმით? იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს ამომრჩეველთა სია, გამოიყენება თუ არა მდგრადი მელანი?
- ◆ აღინიშნება თუ არა განმეორებითი კენჭისყრის შემთხვევები?
- ◆ არის თუ არა საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე ბიულეტენების საკმარაოდენობა?
- ◆ ესაჭიროება თუ არა ამომრჩეველთა დიდ ნაწილს დახმარება ხმის მიცემის პროცესში?
- ◆ აქვს თუ არა ადგილი ამომრჩეველზე ზენოლას?
- ◆ უზრუნველყოფს თუ არა უბნის მონყობა კენჭისყრის პროცედურის ფარულობას?
- ◆ დაშვებულია თუ არა საარჩევნო კაბინაში ამომრჩეველთა ერთობლივად შესვლა?
- ◆ მონაწილეობენ თუ არა კენჭისყრაში ინვალიდები და მძიმედ ავადმყოფები და როგორ წარმოებს კენჭისყრის ფარულობის უზრუნველყოფა იმ შემთხვევებში, როცა მათ დახმარება ესაჭიროებათ?
- ◆ არის თუ არა საარჩევნო კაბინები მოქცეული საუბნო საარჩევნო კომისიისა და დამკვირვებელთა თვალთახედვის არეში?
- ◆ ხომ არ ხდება ამომრჩეველთა დაშინება საარჩევნო უბნიდან გამოსვლისას?
- ◆ როგორია საარჩევნო პროცესის შესახებ შექმნილი ზოგადი შთაბეჭდილება?

შესაძლო პრობლემები: ხმის მიცემის აკრძალვა, მონაწილეთა დამატებითი არასაჭირო ფორმების მოთხოვნა, ამომრჩეველთა უსაფუძვლოდ გაგზავნა სხვა საარჩევნო უბანზე, ამომრჩეველთა შეცდომაში შეყვანა, ოჯახის წევრების მიერ ერთობლივი კენჭისყრა, კენჭისყრა მინდობილობის საფუძველზე (თუ ამგვარი არ არის დაშვებული კანონით), მრავალჯერადი კენჭისყრა, დაუზღუდავი საარჩევნო ყუთებისა და არაიზოლირებული საარჩევნო კაბინების გამოყენება, საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე კამპანიის მასალათა არსებობა და პოლიტიკური პარტიების პროპაგანდა,

შეიარაღებული ძალებისა და უშიშროების წარმომადგენელთა ყოფნა სა-
არჩევნო უბნის ტერიტორიაზე (გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამას
ითვალისწინებს კანონი), ამომრჩევლის იდენტიფიკაციასთან დაკავშირე-
ბული სირთულეები, გადასატანი საარჩევნო ყუთების მოუწესრიგებელი
გამოყენება, ამომრჩეველთა რეგისტრაციასთან დაკავშირებული შეუსაბა-
მობანი, საჭირო საარჩევნო მასალების ნაკლებობა, კენჭისყრის პროცე-
სის შეფერხებანი, ამომრჩევლებზე ზეწოლა.

ე. კენჭისყრა შეიარაღებულ ძალებში

კენჭისყრა შეიარაღებულ ძალებში უნდა ექვემდებარებოდეს გარკვეულ კონ-
ტროლს დამკვირვებელთა მხრიდან, რადგან ჯარისკაცები წარმომადგენენ ელექ-
ტორატის იმ ჯგუფს, რომელიც ყველაზე მეტად შეიძლება დაექვემდებაროს
გარკვეულ ზეწოლასა და მუქარას კენჭისყრის პროცესში, განსაკუთრებით მა-
შინ, როცა კენჭისყრა მიმდინარეობს სამხედრო ნაწილებში. მაგალითად, შეიძ-
ლება ჯარისკაცებს მოუხდეთ კენჭისყრა თავისი ოფიცრების ზედამხედველობით,
რომლებმაც შეასძლოა ინსტრუქცია გასცენ, თუ ვის უნდა მისცენ ხმა ჯარის-
კაცებმა.

ვ. კენჭისყრა საავადმყოფოებსა და თავისუფლების აღკვეთის ადგილებში

ზოგიერთ ქვეყანაში დასაშვებია კენჭისყრა საავადმყოფოებსა და თავისუფლე-
ბის აღკვეთის ადგილებში. ამ შემთხვევაში დამკვირვებელი უნდა ეწვიოს ამ სპე-
ციალურ საარჩევნო უბნებსაც. საავადმყოფოს ტერიტორიასა და თავისუფლე-
ბის აღკვეთის ადგილებში მყოფი პირები წარმომადგენენ ელექტორატის იმ
სეგმენტს, რომელზეც კენჭისყრის პროცესში შეიძლება გავრცელდეს მუქარა ან
ადგილი ჰქონდეს ზეწოლას.

10.3 ხმების დათვლის პროცესი

ა. ხმების დათვლის პროცესზე დაკვირვება

აკრედიტებულ დამკვირვებლებს აქვთ ხმების დათვლის პროცესზე დაკვირვების
უფლება. მიუხედავად იმისა, რომ ხმების დათვლის პროცესის დაწყებისათვის
დამკვირვებელი უკვე დალილია, უადრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ამ პრო-
ცესზე ბოლომდე დაკვირვებას, რადგან ხმების დათვლა საარჩევნო პროცესის
ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სტადიაა. დამკვირვებელმა უნდა დააფიქსი-
როს, აკურატულად და ამომრჩეველთა ნების შესაბამისად წარმოებს თუ არა
ბიულეტენების დათვლა.

ხმათა დათვლის პირველი სტადია უნდა მიმდინარეობდეს საარჩევნო უბნის ტე-
რიტორიაზე. ხმათა დათვლის ნებისმიერმა სისტემამ, რომლის მიხედვითაც ბი-
ულეტენები არ ითვლება საარჩევნო უბნებში, არამედ გადაიგზავნება ზემდგომ
კომისიაში, შეასძლოა შექმნას დიდი პრობლემები გამჭვირვალობისა და გადა-
მოწმების უზრუნველყოფის პროცესში. საარჩევნო ყუთების ტრანსპორტირება
უნდა მოხდეს დამკვირვებელთა ჯგუფის თანხლებით.

შედეგები დაუბრკოლებლად უნდა დაფიქსირდეს და იყოს მისაწვდომი საარჩევ-

ნო უბნის დონეზე. პროცესის გამჭვირვალობა მიიღწევა აგრეთვე, პარტიებისა და კანდიდატების წარმომადგენელთა მიერ ოქმზე ხელმოწერითა და ოქმის ასლების მიღებით. შედეგების ოქმის ასლის მიღების შესაძლებლობა დამოუკიდებელ ადგილობრივ დამკვირვებლებსაც უნდა ჰქონდეთ.

შედეგების შეჯამება უნდა ექვემდებარებოდეს გადამოწმებას და განხორციელდეს ღია და საჯარო წესით საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა დონეზე. ეს წესი საერთო უნდა იყოს საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა დონისათვის.

საარჩევნო უბნის შედეგები წარმოადგენს გადამოწმებული მონაცემების ერთობლიობას, რომელიც შემდგომში უნდა შეუდარდეს საოლქო და საბოლოო დონეზე მიღებულ ოფიციალურ შედეგებს. ამ პროცესში ადგილობრივი დამკვირვებლები და პარტიების წარმომადგენლებიც უნდა იყვნენ ჩართულნი. დამკვირვების შედეგად მოპოვებული მასალა და შედეგების დოკუმენტირება შესაძლოა საკონტროლო ფორმებისა და შედეგების შემაჯამებელი ოქმების საფუძველზე.

დამკვირვებლებმა ყურადღება უნდა მიაქციონ შემდეგ საკითხებს:

- ◆ წარმოებს თუ არა ხმათა დათვლის პროცესი მხოლოდ კომისიის წევრთა მიერ, თუ მათ ეხმარებიან “არაოფიციალური პირები”?
- ◆ იცნობენ თუ არა პასუხისმგებელი პირები პროცესის სპეციფიკას?
- ◆ მიმდინარეობს თუ არა კენჭისყრა ღია გარემოში, შექმნილია თუ არა შესაბამისი და თანაბარი პირობები ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლებისათვის?
- ◆ როგორია შეფარდება კენჭისყრაში მონაწილეთა და მიცემულ ხმათა რაოდენობას შორის?
- ◆ დაცულია თუ არა ბიულეტენების დათვლის წესი და ბიულეტენების შენახვის უსაფრთხოება?
- ◆ როგორ ხდება გამოუყენებელი საარჩევნო ბიულეტენების შენახვა, ანულირება ან განადგურება ხმების დათვლის პროცედურის დასრულების შემდეგ?
- ◆ არსებობს თუ არა ბათილი ბიულეტენების განსაზღვრის ერთიანი პროცედურა?
- ◆ ხდება თუ არა ბათილი ბიულეტენების ცალკე გამოყოფა და შენახვა შემდგომი გადამოწმებისათვის?
- ◆ ხომ არ არის ბათილი ბიულეტენების რაოდენობა თვალშისაცემად დიდი?
- ◆ აკეთებენ თუ არა ოფიციალური პირები აღნიშვნებს ბიულეტენებზე?
- ◆ როგორ წარმოებს ხმათა დათვლის პროცესში დავებისა და საჩივრების გადანყვეტა?
- ◆ სწორად მოხდა თუ არა ხმათა დათვლის პროცესის დასრულების შემდეგ ოფიციალურ ფორმათა შევსება და დამოწმდა თუ არა ეს ფორმები შესაბამისი ხელმოწერებით?
- ◆ ადგილობრივ დამკვირვებლებსა და პარტიების წარმომადგენლებს ჰქონ-

დათ თუ არა, შედეგების ოფიციალური ოქმის ასლის მიღების შესაძლებლობა?

- ♦ რა დრო დასჭირდა საარჩევნო უბნებში და საარჩევნო ადმინისტრაციის სხვა დონეებზე ხმათა დათვლის პროცედურასა და ოქმების შევსებას?
- ♦ არის თუ არა გამჭვირვალე და უსაფრთხო ოქმების, ბიულეტენებისა და სხვა მასალის ტრანსპორტირება ხმათა დათვლის პროცესის დასრულების შემდეგ?
- ♦ შედეგები ეგზავნება თუ არა ღია, უსაფრთხო და შემონმებადი წესით შესაბამის ადმინისტრაციულ უწყებებს და რამდენად ზუსტად ჯამდება შედეგები?
- ♦ წარმოებს თუ არა შედეგების საჯაროდ გამოცხადება წინასწარ შემუშავებული წესის მიხედვით?

ბ. ხმების დათვლა სხვადასხვა დონეზე

ხმების დათვლის შედეგები ჩვეულებრივ იგზავნება რეგიონალური საარჩევნო კომისიის დონეზე, სადაც ხდება მათი შეგროვება და ეროვნულ დონეზე გადაგზავნა. დამკვირვებელი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ კარგად იცნობს შედეგების შეჯამების, ტრანსპორტირების და გადამონმების პროცესის სრულ ციკლს.

ხმათა დათვლის პროცესზე დაკვირვებას ყველა დონეზე უდიდესი მნიშვნელობა აქვს. დამკვირვებელი აგრეთვე უნდა დაესწროს ხმების დათვლის პროცესს ყველა დონეზე, ცვლების პრინციპის გამოყენებით ან სპეციალურად ამ მიზნით გამოყოფილი ჯგუფების მივლინების გზით.

თუ შედეგების გადაგზავნა წარმოებს კომპიუტერით ან ელექტრონული ფოსტით, დამკვირვებელთათვის მისანვლომი უნდა იყოს შესაბამისი პროგრამა, რათა მოხდეს შედეგების შეჯამების პროცესის მონიტორინგი. ამასთან, აღნიშნულ შემთხვევაში დამკვირვებელს უნდა ჰქონდეს პროცესზე დაკვირვების და შესაბამისი ამონაბეჭდების მოთხოვნის უფლება. ეს ამონაბეჭდები უნდა იყოს დამტკიცებული და ხელმოწერილი ოფიციალურ პირთა მიერ.

შესაძლო პრობლემები: დათვლის პროცესის ორგანიზაციული ხარვეზები, საარჩევნო ყუთის შეცვლა, ბიულეტენების თვითნებური ანულირება, საარჩევნო ბიულეტენებისა და ყუთების დაკარგვა, ბიულეტენთა არასწორი დათვლა და არასწორი შედეგების წარდგენა, გამოუყენებელი ბიულეტენების შენახვის წესების დარღვევა, ბათილი ბიულეტენების უსისტემო რეგულაცია, ხმათა დათვლის მწარმოებელ პირთა და ხელმძღვანელთა არაადეკვატური რაოდენობა.

11. უშულოდ არჩევნების შემდგომ ფაზაზე დაკვირვება: გრძელვადიანი და მოკლევადიანი დამკვირვებლები

11.1 დაკვირვების შედეგების შესახებ ინფორმაციის გაცვლა (დიბრიფინგი) და განცხადება

დებრიფინგს აწყობს ODIHR-ის სადამკვირვებლო მისიის თავმჯდომარე არჩევნების დღის შემდეგ 24-28 საათის განმავლობაში. დებრიფინგს ჩვეულებრივ ესწრება სპეციალური კოორდინატორი. დებრიფინგის დროს დამკვირვებლები ერთმანეთს უზიარებენ მიღებულ შთაბეჭდილებებს და ცდილობენ მივიდნენ ერთიან დასკვნამდე ჩატარებული არჩევნების ეუთო-ს დებულებებთან და ქვეყნის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ. დებრიფინგი დახურულია პრესისა და საზოგადოებისათვის.

დამკვირვებელთა წვლილი ამ პროცესში უნდა ეფუძნებოდეს ფაქტობრივ მასალას. (განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება განმეორებადი ხასიათის მქონე ტენდენციებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა არჩევნების მსვლელობისას). დასკვნა კეთდება დამკვირვებელთა კოლექტიური აზრის გათვალისწინებით და არა ცალკეული, ერთჯერადი შთაბეჭდილებების საფუძველზე.

დამკვირვებელთა დებრიფინგი შეიძლება ჩატარდეს ჯგუფების მიერ ან გრძელვადიანი დამკვირვებლების მიერ რეგიონში ან ცენტრალური ლოკაციის ადგილზე. დებრიფინგს, შეძლებისდაგვარად, უნდა ესწრებოდეს ყველა დამკვირვებელი. იმ დამკვირვებლებისათვის, რომელმაც ვერ შეძლეს დებრიფინგზე დასწრება უნდა შეიქმნას ანგარიშის ფაქსით ან ტელეფონით გადმოგზავნის პირობები.

11.2 არჩევნების შემდგომი წინასწარი განცხადება

არჩევნების შემდგომ წინასწარ განცხადებას აკეთებს სპეციალური კოორდინატორი (თუ დანიშნულია) ან ODIHR-ის სადამკვირვებლო მისიის თავმჯდომარე არჩევნების შემდეგ 24-48 საათის განმავლობაში. აღნიშნული განცხადების წარდგინების მიზნით, შესაძლოა მოენწყოს პრეს-კონფერენცია, რომელსაც გაუძღვება ეუთო-ს სპეციალური კოორდინატორი და ODIHR-ის სადამკვირვებლო მისიის თავმჯდომარე. არჩევნების შემდეგ გაკეთებული ყველა განცხადება იგზავნება ODIHR-ის საარჩევნო განყოფილებაში, ვარშავაში, საბოლოო დამტკიცებისათვის.

განცხადება უნდა იყოს მოკლე (დაახლოებით 1-2 გვერდი) და მოიცავდეს: წინასწარჩევნო პროცესზე დაკვირვების უმნიშვნელოვანესი მომენტებს, დაფუძნებულს გრძელვადიანი დაკვირვების შედეგებზე და უშუალოდ, არჩევნების დღეზე დაკვირვების შედეგებს, მიღებულს გრძელვადიანი და მოკლევადიანი დაკვირვების გზით. განცხადება უნდა ეფუძნებოდეს ფაქტობრივ მასალას, იყოს არსებითი და მიუთითებდეს იმაზე, წარმოებდა თუ არა არჩევნები ეუთო-ს დებულებებისა და ქვეყნის საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად.

მნიშვნელოვანია, რომ განცხადება ასახავდეს ყველა დამკვირვებლის ერთიან პოზიციას. დამკვირვებლებმა თავი უნდა შეიკავონ ინდივიდუალური კომენტარებისა და განცხადებებისაგან, ვინაიდან ამ შემთხვევაში იზრდება მიკერძოებული ან ცალმხრივი დასკვნის გამოქვეყნების რისკი.

ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ არჩევნების შემდგომი განცხადება წინასწარი განცხადებაა, არჩევნების შემდგომი დამატებითი დაკვირვების შედეგებმა შესაძლოა მნიშვნელოვნად შეცვალოს საბოლოო შეფასება. ეს ცვლილებები აისახება დასკვნითი ანგარიშის შინაარსში.

რეკომენდაციები ჩვეულებრივ თან ერთვის დასკვნით ანგარიშს, გარდა იმ შემ-

თხვევებისა, როცა ადგილი აქვს კენჭისყრის მეორე ტურს. ამ შემთხვევაში წინასწარ განცხადებაზე რეკომენდაციების დართვას შესაძლოა დადებითი გავლენა ჰქონდეს მეორე ტურის ჩატარებაზე.

12. არჩევნების შემდგომი განხილვითი ფაზა: ბრძოლაში დასაწყობებული ფაზა:

12.1 საბოლოო გადამონშება და შედეგების გამოცხადება

მოკლევადიან დამკვირვებელთა უმეტესობას არა აქვს შედეგების საბოლოო შეჯამებამდე და მათ გამოცხადებამდე ქვეყანაში დარჩენის შესაძლებლობა. ადგილზე რჩებიან გრძელვადიანი დამკვირვებლები და ODIHR-ის სადამკვირვებლო მისიის თავმჯდომარე.

საარჩევნო უზნების მიხედვით კენჭისყრის ოფიციალური შედეგების დროული გამოქვეყნება გადამონშების პროცედურის სრულფასოვნად წარმართვის შესაძლებლობას იძლევა და ხელს უწყობს არჩევნების შედეგებისადმი საზოგადოების ნდობის ამაღლებას.

აუცილებლად საჭიროა, დააფიქსირდეს ნებისმიერი შეფერხება ან გაურკვევლობა შედეგების შეჯამების, გადამონშებისა და გამოცხადების პროცედურებთან დაკავშირებით.

შესაძლო პრობლემები: ხმების დათვლის, გადამონშებისა და შეჯამების პროცესებზე არათანამიმდევრული დაკვირვება; პროცესზე დასწრების შეზღუდვა; ადმინისტრაციასთან კონტაქტის შეუძლებლობა; საოლქო და რეგიონალურ დონეზე შედეგების გამოქვეყნებასთან დაკავშირებული პრობლემები; არჩევნების დღეს გამოყენებული ბიულეტენების რაოდენობისა და საბოლოო შედეგების განხილვა.

12.2 გასაჩივრებისა და გადასინჯვის პროცესი

დამკვირვებლებმა თვალი უნდა მიადევნონ საარჩევნო დავებთან დაკავშირებულ სასამართლო და სხვა პროცედურებს. დამოუკიდებელ, მიუკერძოებელ სახელმწიფო იურიდიულ უწყებაში აპელირების უფლება უნდა ჰქონდეს არჩევნებში მონაწილე სუბიექტს. გასაჩივრების გამჭვირვალე პროცედურა წარმოადგენს საარჩევნო განხილვის მექანიზმს და შესაძლოა, ასრულებდეს საარჩევნო დავების გადანყვეტის საბოლოო არბიტრის ფუნქციას.

კანდიდატთა და ამომრჩეველთა სახელით შემოსული საჩივრის გადასინჯვა უნდა მოხდეს თანასწორ პირობებში და კანონით განსაზღვრული წესების დაცვით. გასაჩივრების წესი და ვადები მკაფიოდ უნდა იყოს ასახული საარჩევნო კანონმდებლობაში. აგრეთვე უნდა არსებობდეს შესაბამისი პირობები საჩივრის ფორმის შესავსებად და მის გადასაგზავნად შესაბამის სამართლებრივ უწყებებში.

საჩივარზე რეაგირება უნდა მოხდეს დროულად, ყველა დადგენილება უნდა რე-

გისტირდეს და გამოქვეყნდეს.

შესაძლო პრობლემები: შესაბამისი სააპელაციო უწყების კომპეტენციის ან იურიდიული მექანიზმის შეზღუდულობა და მიუწვდომლობა, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს პროცესის სრულფასოვნად გამოძიებას.

12.3 მისიის დახურვა

სადამკვირვებლო მისიის მოღვაწეობის დასრულების შემდეგ ODIHR-ის სადამკვირვებლო მისიის თავმჯდომარე უგზავნის საბოლოო ოფიციალურ შეტყობინებას სახელმწიფო საარჩევნო ადმინისტრაციას, საგარეო საქმეთა სამინისტროსა და სხვა შესაბამის ადგილობრივ უწყებებსა თუ ორგანიზაციებს, რომლებთანაც დადგინდა მისია მჭიდროდ თანამშრომლობდა.

12.3.1 გახანგრძლივებული დაკვირვება

სადამკვირვებლო მისიის მუშაობის დამთავრების შემდეგ, საარჩევნო პროცესი შესაძლოა, არც იყოს დასრულებული. ამ შემთხვევაში ODIHR-ის სადამკვირვებლო მისიის თავმჯდომარემ უნდა დატოვოს დადგინებული მცირერიცხოვანი ჯგუფი საარჩევნო პროცესის დასკვნითი ეტაპის ბოლომდე დაკვირვების მიზნით. ამ ჯგუფის მანდატი მკაფიოდ უნდა იყოს ფორმირებული. ჯგუფს უნდა მიენიჭოს იგივე უფლებები და ვალდებულებები, რაც გააჩნდა არჩევნებზე დაკვირვების მისიას, ვინაიდან იგი წარმოადგენს მისიის განუყოფელ ნაწილს. დამატებითი ინიციატივის გამოჩენის უფლება ჯგუფს აქვს მხოლოდ ODIHR-ის სადამკვირვებლო მისიის თავმჯდომარის ან ODIHR-ის შტაბ-ბინის სხვა წარმომადგენელთა ინსტრუქციის საფუძველზე. ჯგუფის წარმომადგენლები ყოველდღიურად უნდა დაუკავშირდნენ ვარშავის ოფისს.

12.4 დასკვნითი ანგარიში

დასკვნითი ანგარიში უნდა შეიცავდეს გრძელვადიანი და მოკლევადიანი დამკვირვებლებისაგან მიღებულ დეტალურ ინფორმაციას. დასკვნითი ანგარიშის საფუძველს უნდა ქმნიდეს დიბრიფინგის მსვლელობისას გამოთქმული მოსაზრებები და საკონტროლო ფორმებში აღნიშნული ინფორმაცია.

საბოლოო ანგარიშის მიზანია, საარჩევნო პროცესის შესახებ დასკვნის გამოტანა ორი სტანდარტის მიხედვით:

1. ეუთო-ს დებულებები, კერძოდ 1990 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტი;
2. ქვეყნის საარჩევნო კანონმდებლობა, რომელშიც ასახული უნდა იყოს ეუთო-ს დებულებები.

დასკვნა უნდა ეფუძნებოდეს ფაქტობრივ მასალას, რომელიც ექვემდებარება გადამოწმებას. დასკვნა უნდა იყოს ლაკონური, სრული და მოიცავდეს რეკომენდაციებს საარჩევნო პროცესის გაუმჯობესების შესახებ. ანგარიში უნდა შეიცავდეს ODIHR-სა და ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის ერთობლივ რეკომენ-

დაციებს.

დასკვნა წარმოადგენს სადამკვირვებლო მისიის მოღვაწეობის შედეგების შეჯამებას, მაგრამ მის შედგენაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ODIHR-ის სადამკვირვებლო მისიის თავმჯდომარეს. დასკვნას გადახედავს, მიიღებს და გამოსაქვეყნებლად მოამზადებს ODIHR-ის ვარშავის ოფისი, რის შემდეგაც იგი წარედგინება ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეას შესაბამისი კომენტარებისათვის. დასკვნა უნდა გავრცელდეს შესაბამის ორგანიზაციებსა და არჩევნებთან დაკავშირებულ სახელმწიფო უწყებებში, აგრეთვე დამკვირვებლებს შორის (მოთხოვნის შემთხვევაში).

დასკვნა შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

I. წინათქმა

ა) წევრ სახელმწიფოთა და ორგანიზაციათა სია, რომლებმაც მიაწვინეს დამკვირვებლები

ბ) დისლოკაციის ზოგადი სქემა

II. საკანონმდებლო ჩარჩოები

III. საარჩევნო ადმინისტრაცია

IV. ამომრჩეველთა და სამოქალაქო განათლება

V. ამომრჩეველთა რეგისტრაცია

VI. კანდიდატთა რეგისტრაცია

VII. წინასაარჩევნო ფაზა

VIII. მასმედია

IX. არჩევნების დღეზე დაკვირვება

X. ხმების დათვლის პროცესზე დაკვირვება

XI. შედეგების შეჯამება და გადამოწმება

XII. გასაჩივრებისა და გადასინჯვის პროცესი

XIII. დასკვნები

XIV. რეკომენდაციები

12.5 ODIHR-ის მისიის არქივი

ODIHR-ის სადამკვირვებლო მისიის თავმჯდომარემ თავი უნდა მოუყაროს გარკვეულ ინფორმაციას და გადააგზავნოს ვარშავის ოფისის არქივში.

არქივში გადასაგზავნი მასალები მოიცავს შემდეგ ძირითად დოკუმენტებს:

- საარჩევნო კანონი და არჩევნებთან დაკავშირებული სხვა კანონები;
- ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადანყვეტილებები;
- მეთოდოლოგიასთან დაკავშირებული შენიშვნები;
- ქვეყნის რუქა, რომელზეც აღნიშნულია საარჩევნო ოლქების საზღვრები;

- ◆ დისლოკაციის გეგმა და დამკვირვებელთა სია;
- ◆ საინფორმაციო პაკეტი გრძელვადიანი და მოკლევადიანი დამკვირვებლებისათვის;
- ◆ საკონტროლო ფორმები ხმის მიცემისა და დათვლის პროცედურებისათვის;
- ◆ საკონტროლო ფორმების ანალიზის შედეგები;
- ◆ დავკირვების დანვრილებით შედეგები;
- ◆ განცხადებები პრესაში და ანგარიში (წინასწარი განცხადება და დასკვნითი ანგარიში);
- ◆ ადგილობრივი კონტაქტები.

13. ზოგადი შეფასება

საარჩევნო პროცესის შეფასება უნდა მოხდეს ეუთო-ს დებულებების, ადგილობრივი კანონმდებლობისა და წესების გათვალისწინებით.

არჩევნები ეუთო-ს რეგიონში შესაძლოა არ შეესაბამებოდეს ეუთო-ს დებულებებით გათვალისწინებულ იდეალურ სტანდარტებს. არჩევნების პროცესში ყოველთვის არსებობს გარკვეული უზუსტობებისა და დარღვევების ალბათობა. ცალკეული უწესრიგობა, რასაკვირველია, წარმოადგენს სერიოზულ დარღვევას და აუცილებლად უნდა აღინიშნოს დამკვირვებლის მიერ, თუმცა მთლიანობაში საარჩევნო პროცესს ძირითად საფრთხეს უქმნის განმეორებადი ხასიათის ხარვეზები.

ეუთო-ს დებულებების განხორციელების ხარისხი განსხვავდება მდიდარი დემოკრატიული ტრადიციების მქონე ქვეყნებსა და ისეთ სახელმწიფოებში, სადაც დემოკრატიის აღმშენებლობის პროცესი მხოლოდ იწყება. თუმცა, ეუთო-ს წევრმა ქვეყნებმა მაქსიმალური ძალისხმევა უნდა მიმართონ ეუთო-ს დებულებებთან შესაბამისობის მისაღწევად.

საარჩევნო პროცესის სრულყოფის დაუყოვნებელი მიღწევა ყოველთვის არ არის შესაძლებელი, მით უფრო წარმოუდგენელია ამ მიზნის მიღწევა, ხელისუფლების მხრიდან რეალური ძალისხმევის გაწევის გარეშე. დამკვირვებლებს მხედველობიდან არ უნდა გამოორჩეს ის შემთხვევები, როცა კანონი არ ირღვევა, მაგრამ ეუთო-ს დებულებების არსი არ არის დაცული.

ამრიგად, არჩევნების შეფასებისას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ყოველი ცალკეული დარღვევის შეფასებას, ზოგადად საარჩევნო პროცესზე, ამომრჩეველთა არჩევანსა და საბოლოო შედეგებზე გავლენის მოხდენის თვალსაზრისით. საარჩევნო პროცესის ცუდი ორგანიზება ყოველთვის არ მიაწინებს მანიპულაციაზე.

არჩევნების თავისუფლების პრინციპი დაცულია, თუ ქვეყნის ყველა მოქალაქე იცნობს საარჩევნო პროცესის სპეციფიკას, მუქარისა და ზეწოლის გარეშე მონაწილეობს კენჭისყრაში და დაუბრკოლებლად ირჩევს თავის ლიდერს. საარჩევნო პროცესი ადამიანთა უფლებების ზეიმიია. გამოვთქვამთ იმედს, რომ საარჩევნო პროცესზე დავკირვება, აღწერილი ამ სახელმძღვანელოში, ეუთო-ს დებულებებში ასახულ ადამიანის ფუნდამენტალურ უფლებათა დაცვის ხელშეწყობის ეფექტური მეთოდია.

14. ODIHR-ის დახმარება რეკომენდაციების განხორციელების საქმეში

ODIHR-ი არ არის არბიტრი, რომელიც განსაზღვრავს ეუთო-ს მიერ არჩევნების “აღიარებას”. ხელმძღვანელობს რა ეუთო-ს დებულებებით, ODIHR-ი ესმარება სახელმწიფოებს დემოკრატიული წყობის შენების პროცესში. ODIHR-ის ანგარიში, უაღრესად კრიტიკულიც კი, არ გულისხმობს ბრალდების წაყენებას. იგი სთავაზობს სახელმწიფოს საარჩევნო პროცესის განხორციელებულ შეფასებას და დახმარებას რეკომენდაციების შესრულებისათვის.

ODIHR-ი მიესალმება წევრი სახელმწიფოების მიმართვას დასვენით ანგარიშში ასახული რეკომენდაციების განხორციელებაში დახმარებისათვის. რეკომენდაციების განხორციელების პროცესის მხარდაჭერის მიზნით ODIHR-ი მჭიდროდ თანამშრომლობს სხვა არასამთავრობო და საპარლამენტთაშორისო ორგანიზაციებთან, კერძოდ ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეასთან.

15. დანართი 15

დანართი 15

ეუთო-ს ადამიანური განზომილებების შესახებ კონფერენციის კოპენჰაგენის შეხვედრის დოკუმენტი

(29 ივნისი 1990 წელი)

[ODIHR-ი შეიქმნა პარიზის სამიტზე 1990 წლის ნოემბერში, რის გამოც იგი არ არის მოხსენიებული კოპენჰაგენის დოკუმენტში. მიუხედავად ამისა, პარიზის ქარტია ახალი ევროპისათვის მიუთითებს, რომ თავისუფალი არჩევნების ოფისი, რომელსაც შემდგომში ეწოდა დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანთა უფლებების ბიურო (ODIHR-ი) "ხელს შეუწყობს კოპენჰაგენის დოკუმენტის 6, 7 და 8 მუხლების განხორციელებას". (ქვემოთ მოყვანილია შესაბამისი მუხლები)].

- (6) წევრი სახელმწიფოები აცხადებენ, რომ ხალხის ნება, რომელიც თავისუფლად და სამართლიანად გამოიხატება პერიოდული და არაფალსიფიციურებული არჩევნებით, წარმოადგენს მთავრობის ძალაუფლებისა და კანონიერების საფუძველს. მონაწილე სახელმწიფოები, შესაბამისად, პატივს სცემენ მოქალაქეთა უფლებას მიიღონ მონაწილეობა სახელმწიფოს მართვაში, უშუალოდ ან სამართლიანი საარჩევნო პროცესის გზით თავისუფლად არჩეულ წარმომადგენელთა მეშვეობით. წევრი სახელმწიფოები აღიარებენ თავის პასუხისმგებლობას დაიცვან და გაუფრთხილდნენ კანონმდებლობის, ადამიანთა უფლებების სფეროში საკუთარი და საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად, ხალხის თავისუფალი ნების საფუძველზე შექმნილ დემოკრატიულ წყობას იმ პირობის, ჯგუფებისა თუ ორგანიზაციების ქმედებისაგან, რომლებიც იყენებენ ან არ გამოიხატავენ მონაწილე სახელმწიფოში დემოკრატიული წყობის დამოხობისაგან მიმართულ ტერორიზმსა და ძალადობას.
- (7) იმისათვის, რომ ხალხის ნება ქმნიდეს მთავრობის ძალაუფლების საფუძველს, წევრი სახელმწიფოები:
 - (7.1) კანონის შესაბამისად ატარებენ თავისუფალ არჩევნებს გონივრული შუალედებით;
 - (7.2) დაუშვებენ, რომ სახელმწიფო საკანონმდებლო ორგანოს მანდატები, ერთ პალატაში მაინც, გადანაწილდეს საყოველთაო საარჩევნო პროცესით გამოხატული ნების საფუძველზე და თანასწორი პირობების დაცვით;
 - (7.3) უზრუნველყოფენ თანაბარ და საყოველთაო საარჩევნო უფლებებს ზრდასრული მოქალაქეებისათვის;
 - (7.4) უზრუნველყოფენ ფართო ხმის მიცემის პროცესს ან თავისუფალი კენჭისყრის სხვა ტოლფას პროცედურას, ხმათა დათვლისა და ანგარიშის პროცედურების სამართლიანობის დაცვასა და შედეგების საჯარო გამოქვეყნებას;

- (7.5) პატივს სცემენ მოქალაქეთა უფლებას, დისკრიმინაციის გარეშე ეძიონ პოლიტიკური თუ სახელმწიფო თანამდებობები პირადად ან პარტიისა თუ ორგანიზაციის სახელით.
- (7.6) პატივს სცემენ ცალკეული პირებისა თუ ჯგუფების უფლებას, გაერთიანდნენ პარტიებში და სხვა პოლიტიკურ ორგანიზაციებში სრული თავისუფლების პირობებში, უზრუნველყოფენ ამ პარტიებსა და ორგანიზაციებს საჭირო საკანონმდებლო გარანტიებით თანასწორი პაექრობისათვის კანონისა და ხელისუფლების წინაშე;
- (7.7) უზრუნველყოფენ, რომ კანონი და სახელმწიფო პოლიტიკა ხელს არ უშლიდეს პოლიტიკური კამპანიის სამართლიანად და თავისუფლად წარმართვას, სადაც კანდიდატთა და პარტიების მიერ აზრისა და შეფასებების გამოხატვის უფლება და ამომრჩეველთა ინფორმირების პროცესი არ იზღუდება ადმინისტრაციული ზომებით, ძალადობითა და მუქარით;
- (7.8) უზრუნველყოფენ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით სარგებლობას თანასწორ პირობებში, ყოველგვარი ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ბარიერების გარეშე, აგერთვე ინფორმაციის მასობრივ საშუალებათა მისაწვდომობას დისკრიმინაციის გარეშე, ყველა პოლიტიკური დაჯგუფებისა თუ პირისათვის, რომელსაც სურს საარჩევნო პროცესში მონაწილეობის მიღება.
- (7.9) უზრუნველყოფენ იმ კანდიდატების მიერ, რომლებმაც მიიღეს კანონით განსაზღვრული ხმების რაოდენობა, სათანადო წესით თანამდებობების დაკავებას თანამდებობრივი ვალდებულებების ვადის ამონურგამდე ან თანამდებობიდან სხვა წესით გათავისუფლებამდე, არსებული კანონმდებლობისა და საპარლამენტო თუ კონსტიტუციური პროცედურების დაცვით.
- (8) მონაწილე სახელმწიფოები მიიჩნევენ, რომ უცხოელი და ადგილობრივი დამკვირვებლების დასწრებას შეუძლია ხელი შეუწყოს საარჩევნო პროცესის სრულყოფას იმ ქვეყნებში, სადაც არჩევნები ტარდება. ამიტომ, ისინი იწვევენ დამკვირვებლებს ეუთო-ს წევრი სხვა ქვეყნებიდან, აგრეთვე, შესაბამისი არასამთავრობო დაწესებულებებიდან და ორგანიზაციებიდან, რომლებიც სურვილს გამოთქვამენ დააკვირდნენ ამ ქვეყნებში საერთო-ეროვნული საარჩევნო პროცესის მიმდინარეობას კანონით განსაზღვრულ ფარგლებში. ისინი შეეცდებიან, ასევე, ადვილად ხელმისაწვდომი გახადონ თავიანთ ქვეყნებში უფრო დაბალი დონის არჩევნებიც. ასეთივე დამკვირვებლები ვალდებულებას კისრულობენ არ ჩაერიონ საარჩევნო პროცესში.

კოპენჰაგენის დოკუმენტთან დაკავშირებული დებულებები:

ადამიანთა უფლებების პატივისცემის დამკვიდრების, ადამიანური კონტაქტების გაღრმავებისა და ჰუმანიტარული ხასიათის საკითხების გადანყვეტის მიზნით, წევრი სახელმწიფოები თანხმდებიან შემდეგზე:

- (3) ადასტურებენ, რომ დემოკრატია წარმოადგენს სამართლებრივი სახელმწიფოს განუყოფელ ნაწილს. ისინი აღიარებენ პლურალიზმის მნიშვნელობას პოლიტიკურ ორგანიზაციებთან მიმართებაში.
- (5) საზეიმოდ აცხადებენ, რომ სამართლიანობის ელემენტებს, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს პიროვნებისათვის დამახასიათებელი ადამიანური ღირსების გამოხატვისა და ადამიანთა საყოველთაო უფლებების დამკვიდრებისათვის, მიეკუთვნება:
- (5.1) თავისუფალი არჩევნები, რომლებიც ტარდება გარკვეული გონივრული შუალედებით ფარული კენჭისყრის ან სხვა ტოლფასი პროცედურის გზით და უზრუნველყოფს ამომრჩეველთა ნების გამოხატვას საკუთარი წარმომადგენლების არჩევის პროცესში.
- (5.3) მთავრობისა და სახელმწიფო უწყებების მიერ კონსტიტუციის დაცვა და კანონმდებლობის შესაბამისად მოქმედება.
- (5.4) სახელმწიფოსა და პოლიტიკური პარტიების მკაფიო გამიჯვნა, კერძოდ, პოლიტიკური პარტიები არ შეერწყმიან სახელმწიფოს.
- (5.9) ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე, კანონი იცავს მათ ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. ამასთან დაკავშირებით, კანონი კრძალავს ნებისმიერი სახის დისკრიმინაციას და უზრუნველყოფს ყველა პირის ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაციისაგან თანასწორ და ეფექტურ დაცვას.
- (5.10) ყოველ ადამიანს უნდა გააჩნდეს ეფექტური სამართლებრივი დაცვის გამოყენების შესაძლებლობა ადმინისტრაციული ხასიათის გადანყვეტილებათა წინააღმდეგ, რაც უზრუნველყოფს ძირითადი უფლებების პატივისცემას და სამართლებრივი სისტემის მუშაობას.
- (5.11) ნებისმიერი პირის წინააღმდეგ მიმართული ადმინისტრაციული გადანყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და, როგორც წესი, შეიცავდეს მითითებას სამართლებრივი დაცვის არსებულ საშუალებებზე.
- (10) ადამიანის საყოველთაო უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დამკვიდრებისა და დაცვის პროცესში აქტიური ინდივიდუალური თუ ერთობლივი წვლილის შეტანის მზადყოფნის აღსანიშნავად წევრი სახელმწიფოები იღებენ შემდეგ ვალდებულებებს:
- (10.1) პატივი სცენ კერძო პირების, დაჯგუფებებისა და ორგანიზაციების უფლებას, შეაგროვონ, გაავრცელონ და გამოაქვეყნონ ინფორმაცია და მოსაზრებები ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების შესახებ;
- (10.2) უზრუნველყონ მოქალაქეთა იმ უფლებების დაცვა, რომლებიც უკავშირდება ასოციაციების შექმნას (ადამიანის უფლებების დაც-

ვისა და დამკვიდრების სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების, პროფკავშირებისა და სხვა გაერთიანებების ჩათვლით, რომლებიც მუშაობენ ადამიანის უფლებების მონიტორინგზე).

- (10.3) ნება დართონ ამ გაერთიანებათა წევრებს, იქონიონ კონტაქტი მსგავს ორგანიზაციებთან და აგრეთვე, საერთაშორისო ორგანიზაციებთან ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ; მონაწილეობა მიიღონ აღნიშნულ ჯგუფებთან გაცვლებსა და თანამშრომლობაში, მოიძიონ, მიიღონ და გამოიყენონ ადამიანის უფლებების დაცვისა და დამკვიდრების მიზნით გამოყოფილი ნებაყოფლობითი ფინანსური შენატანები სახელმწიფო და საერთაშორისო წყაროებიდან კანონით განსაზღვრული წესების თანახმად.
- (24) წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ ადამიანთა ყველა აღნიშნული უფლებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვას შეზღუდვების გარეშე, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როცა ამას მოითხოვს კანონით გათვალისწინებული პირობები, საერთაშორისო კანონის (განსაკუთრებით, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო კონვენციის) საფუძველზე შემუშავებული დებულებები ან სხვა საერთაშორისო დებულებები (განსაკუთრებით, ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია). ამგვარი შეზღუდვები წარმოადგენენ გამონაკლისს. წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ ამ შეზღუდვების მართებულად და ეფექტურად გამოყენებას. დემოკრატიულ საზოგადოებაში ადამიანის უფლებათა და თავისუფლების ნებისმიერი შეზღუდვა გათვალისწინებული უნდა იყოს კანონით და არ ეწინააღმდეგებოდეს ამ კანონის მიზანს.

დანართი 2

ეუთო-ს/ODIHR-ის საარჩევნო პროცესზე დამკვირვებლის საკონტროლო ფორმის ნიმუში`

ეუთო-ს /ODIHR-ის სადამკვირვებლო მისია

ანგარიში საარჩევნო უბნიდან

დამკვირვებელთა ჯგუფი

გვარი/ინიციალები ჯგუფის ნომერი/აკრედიტაციის ნომერი

საარჩევნო უბანი

საარჩევნო ოლქი

საარჩევნო უბნის
დასახელება/ნომერი

საარჩევნო უბნის ტიპი

ვიზიტის დრო

ჩამოსვლის დრო

გასვლის დრო

საარჩევნო უბანზე რეგისტრირებულ
ამომრჩეველთა რაოდენობა

ხმათა რაოდენობა

() საათისთვის

საარჩევნო უბანში შესვლის წინ

გთხოვთ, შეაფასოთ ზოგადი ატმოსფერო. სასარგებლო იქნება ყური მიუგდოთ ამომრჩევლებს, ან უბრალოდ შორიანხლოს მდგარი ადამიანების აზრს. თქვენი დაკვირვების შედეგები საკონტროლო ფორმის უკანა მხარეზე ჩაინიშნეთ.

რთული იყო თუ არა საარჩევნო უბნის მიგნება?

კი/არა

რთულია თუ არა საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე შესვლა?

კი/არა

შენიშნეთ თუ არა:

ამომრჩეველთა დაშინების ფაქტები?

კი/არა

აგიტაციის ნიშნები?

კი/არა

საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებული პლაკატები ან სხვა მასალა?

კი/არა

საარჩევნო კამპანიის მსვლელობის დამადასტურებელი რაიმე ნიშანი?

კი/არა

საარჩევნო უბანში: დამსწრე პირები და ზოგადი განწყობა საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე

გთხოვთ, შენიშვნები აღნიშნოთ საკონტროლო ფორმის უკანა მხარეზე

საარჩევნო კომისიის წევრები	რამდენი? რომელ პარტიებს მიეკუთვნებიან?
პარტიები/კანდიდატების წარმომადგენლები	კი/არა/არ ვიცი რომელი პარტიები?
მასმედიის წარმომადგენლები	კი/არა/არ ვიცი
ადგილობრივი დამკვირვებლები	კი/არა/არ ვიცი
უშიშროების ძალები	კი/არა/არ ვიცი
გარეშე პირები	კი/არა/არ ვიცი
გადავსებულია თუ არა საარჩევნო უბანი?	კი/არა
არის თუ არა საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე საარჩევნო კამპანიის წარმოების ნიშნები?	კი/არა
არის თუ არა უბნის ტერიტორიაზე საარჩევნო კამპანიის მასალები?	კი/არა
არის თუ არა ამომრჩეველთა მისამართით გაცემული ინფორმაცია გასაგები და ამომწურავი?	კი/არა

საარჩევნო უბანში: ხმის მიცემის პროცესი

გთხოვთ, თანმიმდევრობით შეაფასოთ ხმის მიცემის პროცესის ყველა საფეხური. შენიშვნები აღნიშნეთ საკონტროლო ფორმის უკანა მხარეზე.

იდენტიფიკაციის პრობლემები?	კი/არა
რეგისტრაციის პრობლემები?	კი/არა
საარჩევნო ბიულეტენები/დოკუმენტაცია არის ხელმოწერილი/ აღნიშნული/ დაშტამპული?	კი/არა
გამოუყენებელი ან ბათილი ბიულეტენები?	კი/არა
დაცულია თუ არა კენჭისყრის ფარულობა საარჩევნო კაბინებში?	კი/არა
ხომ არ აღინიშნება რამდენიმე პირის მიერ ერთდროული კენჭისყრა ერთ კაბინაში?	კი/არა
ბრმათათვის და წერა-კითხვის უცოდინართათვის დახმარების განწვეის პრობლემები?	კი/არა
საარჩევნო ყუთი არ არის წესის მიხედვით დალუქული?	კი/არა
საარჩევნო ყუთი განლაგებულია საარჩევნო კომისიის თვალთახედვის არეში?	კი/არა
სხვა პრობლემები?	კი/არა
დრო, რომელიც დასჭირდა თითოეულ ამომრჩეველს კენჭისყრისათვის?	
გადასატან საარჩევნო ყუთთან დაკავშირებული საკითხები	

კენჭისყრის პროცედურის შეფერხებანი

შეჩერდა თუ არა კენჭისყრის პროცედურა რაიმე მომენტში?

კი/არა/არ ვიცი
დეტალები?

დარღვევები, რომელთა შესახებ შეიტყვეთ

გთხოვთ, მიუთითოთ ხმის მიცემის პროცესში ან საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას აღნიშნული ყველა იმ დარღვევის დეტალები, რომელთა შესახებ შეიტყვეთ. აგრეთვე მიუთითეთ იმ პირთა ვინაობა, რომლებმაც მოგანოდეს ინფორმაცია. გამოკითხეთ პარტიათა წარმომადგენლები, ამომრჩევლები, ადგილობრივი დამკვირვებლები და საარჩევნო კომისიის წევრები. აგრეთვე მიუთითეთ, მოხერხდა თუ არა ამ ჩვენებათა გადა-
მოწმება.

მნიშვნელოვანი ინფორმაცია

გთხოვთ, დაკვირვებისათვის გამოყოფილი მანქანით მგზავრობისას გამო-
ყოთ დრო საარჩევნო უბანზე შექმნილი სიტუაციის შეფასებისათვის და საკონტროლო ფორმის ბოლომდე შესავსებად.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ის დეტალები, რომლებიც, თქვენი აზ-
რით, წარმომადგენდა დარღვევას, ან პირიქით - ხელი შეუწყო ხმის მი-
ცემის პროცედურის სწორად წარმართვას.

დეტალები და კომენტარები

ზოგადი შთაბეჭდილება

საერთო ჯამში, საარჩევნო უბანზე ხმის მიცემის პროცესი წარმოართა

ძალიან ცუდად ცუდად კარგად ძალიან კარგად

ქართული გამოცემა განხორციელებულია საზოგადოებრივ-საინფორმაციო ცენტრ „ალტერნატივას“ და სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრის მიერ ODIHR ფინანსური მხარდაჭერით.

Georgian edition prepared by: **Public Information Center "Alternative"** and **International Center for Civic Culture**.
Issued by financial support of **ODIHR**.

გამოცემის კოორდინაცია
ირინა ცინცაძე
თარგმანი ინგლისურიდან
თამარ ბრეგვაძე
რედაქტორები
კონსტანტინე კანდელაკი
ლელა ხომერიკი
ენობრივი რედაქცია
სალომე ცისკარიშვილი
ტექნიკური რედაქცია
დავით ყიფიანი

Production manager
Irene Tsintsadze
Translation
Tamar Bregvadze
Editors
Konstantin Kandelaki
Lela Khomeriki
Contributing editor
Salome Tsiskarishvili
Layout
Davit Kiphiani

საზოგადოებრივი საინფორმაციო ცენტრი „ალტერნატივა“
თბილისი,
მანაბლის ქუჩა 2
ტელეფონი: 996325
ფაქსი: 922965
ელ-ფოსტა: irat@access.sanet.ge

Public Information Center "Alternative"
2 Machabeli St.,
Tbilisi
Georgia
Phone: (+995 32) 996-325
Fax: (+995 32) 922-965
E-mail: irat@access.sanet.ge

სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი
თბილისი 380012
ბაქოს ქუჩა 20ა
ტელეფონი: 953873
ფაქსი: 953873
ელ-ფოსტა: iccc@ip.osgf.ge

International Center for Civic Culture (ICCC)
20a Baku St.
Tbilisi 380012
Georgia
Phone/Fax: (+995 32) 953873
E-mail: iccc@ip.osgf.ge

ODIHR-ის სახელმძღვანელო არჩევნებზე დაკვირვებისათვის
პირველი ქართული გამოცემა
არაოფიციალური თარგმანი

THE ODIHR ELECTION OBSERVATION HANDBOOK
First Georgian Edition
Unofficial translation from the English

©1999 by ODIHR

©1999 by PIC Alternative and ICCC

ISBN 99928-52-26-7

დამკვირვებლის სამოქმედო კოდექსი

ქვემოთ ჩამოთვლილია რამდენიმე ზოგადი პრინციპი და წესი, რომელთა დახვეწა სავალდებულოა ყველა დამკვირვებლისათვის:

- საკუთარი ვალდებულებების შესრულებიანს დამკვირვებელმა მკაცრად უნდა დაიხვეწოს მიუკერძოებლობის პრინციპი, არავითარ შემთხვევაში არ გამოხატოს მიუკერძოება ან წინასწარგანწყობა მთავრობის, პარტიების, კანდიდატებისა თუ საარჩევნო პროცესთან დაკავშირებული რომელიმე საკითხის მიმართ;
- მისიის შესრულებიანს დამკვირვებელი რეგულარულად უნდა აწარმოებდეს ვიზიტებს და არ აქვს საარჩევნო პროცესში, ხმის მიცემისა და დათვლის პროცედურებში ჩარევის უფლება;
- დამკვირვებელმა უნდა იქონიოს მთავრობის ან საარჩევნო კომისიის მიერ გასაცემი მოწმობა, რომლის მოტანის შემთხვევაში უნდა წარუდგინოს ყველა დინამიკურად მდგრადი პირი;
- დამკვირვებელს ეკრძალება რომელიმე პარტიის სიმბოლოების, ფერების და ნიშნის ტარება ან ჩვენება;
- დამკვირვებელს შეუძლია მიუთითოს ადგილობრივ ხელისუფლებას ცალკეულ დარღვევებზე, მაგრამ არ უნდა განსჯის ინტერპეტაციები და არ უნდა მიიღოს საარჩევნო ხელისუფლების გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ მიმართული ზომები;
- დამკვირვებელთა ყველა დანაკარგი უნდა ეფუძნებოდეს დანახვებულ, გადამოწმებულ და სარწმუნო ფაქტებს.
- გეგმისა და სხვა დინამიკურად პირებთან საუბრისას დამკვირვებლებმა თავი უნდა შეიკავონ პირადი ან ნაადრევო კომენტარებისაგან. ნებისმიერი შენიშვნა უნდა შემოიფარგლოს ზოგადი ინფორმაციით დამკვირვებელთა მისიის საქმიანობის შესახებ;
- საჭიროების შემთხვევაში დამკვირვებელი მონაწილეობას იღებს არჩევნების შემდგომ ბრიფინგებში ფაქტით ან ტელეფონით;
- დამკვირვებელმა უნდა დაიხვეწოს სახელმწიფოს ყველა კანონი და წესი.